# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 7 მარტი 2007 №50 (2973) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამ ერის თასზეც თამაშებია...

დინამო 0:0 ამერი

ტორპედო 0:3 ბათუმი

ზესტაფონი 1:1 ბორჯომი

სიონი 0:1 ჩიხურა



დინამო — ამერი 0:0.
რატი წინამძღვრიშვილმა დინამოელებს თავიც აატკივა და გულიც



ტორპედო — ბათუმი 0:3.
სტუმართა სამი გოლიდან ორი კობა შალამბერიძემ (№13) და ვახტანგ კვარაცხელიამ მიითვალეს

# 0:0 და, დარტყმა, არის, რამდენიც გინდა!



ვალენსია – ინტერი:
ფეხბურთი გუნდური თამაში და გუნდური ჩხუბია





# სტუმარი გვყავს ოქრო: პლატინი



**დღეს** თბილისში უეფას ახალარჩეული პრეზიდენტი მიშელ პლატინი ჩამოდის. პლატინი ნაშუადღევს ჩამოფრინდება, სასტუმრო „მარიოტში" დაბინავდება და მერე სულ მიდი-მოდი იქნება. უეფას პრეზიდენტი ჯერ სპორტისა და კულტურის მინისტრ გიორგი გაბაშვილსა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურს შეხვდება, შემდეგ საგურამოს მიაშურებს და ეროვნული გუნდებისთვის მშენებარე ბაზას დაათვალიერებს, სადილად მცხეთაში გაჩერდება, ნასადილევს კი ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შეივლის. საღამოს მიშელ პლატინი „ირაოზე" ქალთა მინიფეხბურთის ტურნირს გახსნის, რვა საათზე კი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს შეხვდება.

ხვალ პლატინი ეროვნულ სტადიონსაც მოინახულებს და იქვე პრესკონფერენციასაც გამართავს. უეფას პრეზიდენტს თბილისში გენმდივნის მოვალეობის შემსრულებელი ჯანი ინფანტინო და ერთ-ერთი თანაშემწე ჩამოჰყვებიან, თბილისში კი მასპინძლების გარდა ფიფასა და უეფას დახმარების პროგრამების — „გოლისა" და „ჰეთ თრიქის" კურატორები ბრუნო ვოლფისბერგი და ვალერი ჩუხრი დახვდებიან. ისინი გუშინწინდლიდან აქ არიან და გუშინ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად დასავლეთ საქართველოში იყვნენ.

პლატინი თბილისიდან საბერძნეთში გაემგზავრება. ათენში უეფას პრეზიდენტმა ჩემპიონთა თასი უნდა ჩაიტანოს. მოგეხსენებათ, ლიგის ფინალს წლეულს სწორედ ათენი მასპინძლობს.

**კობა ინასარიძე**

# შოტლანდია — საქართველო გირვანქებში

**24 მარტს** „ჰემპდენ პარკზე" ევროშესარჩევის შოტლანდია — საქართველოა. სხვა ამბებთან ერთად, ალბათ, ამ მატჩზე დასასწრები ბილეთების ფასიც არ უნდა იყოს ჩვენთვის უინტერესო. შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ ნაკრების ფან-კლუბში გაწევრიანებულთ 8000 ბილეთი გამოუყო.

ეს უფასო, ფასიანები კი — აღმოსავლეთ ტრიბუნის დიდ ნაწილში ბილეთი 18 გირვანქა ღირს. არასრულწლოვანებისთვის — 10; დასავლეთ ტრიბუნა — 24; სამხრეთ ტრიბუნა — 27-დან 35 გირვანქამდე.

**ილია ნანობაშვილი**

# ჩამოჭრილი გრივნებით ევროსასამართლოში?

**კიევის** პეჩორის რაიონულმა სასამართლომ „დემეტრაძის საქმე" კი დაასრულა, თუმც ეს პროცესი, სავარაუდოდ, კიდევ გაიწელება და შესაძლოა, ევროსასამართლოში გაგრძელდეს.

გიორგი დემეტრაძის ადვოკატი ანდრეი ფედური რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და ამ საქმის გამო აპელაციის შეტანას აპირებს.

როგორც ფედურმა განაცხადა, თუ აპელაციის დროს სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას უკრაინაში ლეგიონერების ლიმიტის გაუქმების შესახებ, მაშინ იძულებული გახდება, ადამიანის უფლებების დაცვის გამო ევროსასამართლოს მიმართოს.

თავად დემეტრაძემ კი განაცხადა, რომ ლეგიონერთა ლიმიტი მის შემოსავალს მნიშვნელოვნად ამცირებს. თუ გუნდის შემადგენლობაში ვერ მოხვდა, კლუბის საშტატო განრიგით ხელფასი მინიმუმ 650 გრივნით (დაახლოებით 100 ევრო) ჩამოეჭრება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლევან კალაძის საქმე გუშინ დამთავრდა

**გუშინ** თბილისის საქალაქო სასამართლომ კახა კალაძის ძმის ორ გამტაცებელს, დავით ასათიანს და მერაბ ამისულაშვილს შესაბამისად 25 და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ამისულაშვილს, რომელიც ყოფილი ფეხბურთელია, სასამართლოსთან პროცესუალური გარიგება ჰქონდა და ამიტომაც მისი სასჯელი გაცილებით მსუბუქია, ვიდრე ასათიანისა. ასათიანი შვეიცარიელმა სამართალდამცავებმა შარშან ნოემბერში დააკავეს და ქართველ კოლეგებს გადასცეს, ხოლო ამისულაშვილი მანამდე საქართველო-სომხეთის საზღვარზე დააკავეს.

ამ ორი დამნაშავის გარდა ლევან კალაძის გატაცების საქმეში ლევან ცინცაძე და თემურ გაგნიძე არიან ეჭვმიტანილები.

**ლუკა თალაკვაძე**

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

www.pfl.ge

**ზაზა ცინცაძე** *ქუთაისიდან*

# ლაფი და თავსლაფი რიონის პირას

ქუთაისი. 6 მარტი. 15 საათი. ტორპედო. 600 მაყურებელი

## ტორპედო 0:3 ბათუმი (0:0)

0:1 კვარაცხელია (27), 0:2 შალამბერიძე (54), 0:3 დარჩიძე (63)

**ტორპედო:** ქვილითაია, კილასონია, გურული, ფარულავა, რ. ბარაბაძე, ზივზივაძე (წიქარიშვილი 46; ზ. ქუთათელაძე 88), კვეტენაძე (ნ. ნადირაძე 51), კირკიტაძე, ჭედია, ზ. ჩხეტიანი, იმედაძე
სათადარიგონი: ხურცილავა; გ. ჩხაიძე, მ. ღონღაძე, ნადეტვარიძე
**მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე

**ბათუმი:** სომხიშვილი, თედორაძე, გალოგრე, უ. ლობჟანიძე, ხოხონიშვილი, კ. შალამბერიძე (ფარტენაძე 73), ნერგაძე, ცანავა, დარჩიძე (ბეჟანიძე 64), კუნჭულია, ვ. კვარაცხელია (კერესელიძე 65)
სათადარიგონი: ბექთაშევი; დუმბაძე, ბაჯელიძე, ტულუში
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**გაფრთხილება:** ლობჟანიძე (57), კერესელიძე (70), ზ. ჩხეტიანი (72)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, ზ. ერქვანია; ჯ. ბუიშვილი

**დამკვირვებელი:** ე. სილაგავა

**ქუთაისში** გადაულებლად წვიმდა და ავდარსნაჩვევმა ბათუმელებმა იღბლიანადაც ითამაშეს და ხეირიანადაც...

მეტოქეები ერთმანეთის კარისკენ იშვიათად იწევდნენ, ატალახებულ მოედანზე ბურთიანად გადაადგილება ძალიან ჭირდა და სახიფათო მომენტები ძირითადად სტანდარტულებიდან იქმნებოდა.

22-ე წუთზე ტორპედოელებმა პირველი ხიფათი შექმნეს — კახა კვეტენაძემ საჯარიმოში გიორგი ჭედია მონახა, მან კი ბურთი ბათუმელთა მცველს მოარტყა.

ზუსტად ხუთ წუთში ბათუმელებმა ანგარიში გახსნეს — ვასილ კუნჭულიას ნაკუთხურალ ბურთს ვახტანგ კვარაცხელიამ ლონიერად დაჰკრა და 0:1.

გატანილმა გოლმა ბათუმელებს საკუთარი ძალები არწმუნა და მათ კიდევ შეეძლოთ გატანა — მარჯვენა ფლანგზე აქტიურ კუნჭულიას ჩაწოდებულ ბურთს გიორგი ნერგაძემ თავი შეაგება, მაგრამ მაქსიმე ქვილითაიამ ივარგა.

დაიწყო მეორე ტაიმი და სტუმრებმა ერთხელაც იხეირეს. კობა შალამბერიძე მარცხნიდან შეიჭრა „ტორპედოს" საჯარიმოში, თითქოს ჩაწოდებას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელი დარტყმით ბურთი ქვილითაიას კარში გაგზავნა — 0:2.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა ყველაზე რეალური მომენტი 61-ე წუთზე შექმნეს: ნიკა ნადირაძემ კუთხური ჩააწოდა, გია იმედაძემ კი ორი-სამი მეტრიდან ბურთი მეკარეს მოარტყა.

63-ე წუთზე კი ვიტალი დარჩიძის შორეულ დარტყმას ბათუმელთა მესამე გოლი მოჰყვა.

ბოლო წუთზე ქვილითაიას პირისპირ ორი ბათუმელი, ნიკა კერესელიძე და ირაკლი ცანავა აღმოჩნდნენ, მაგრამ შეუთანხმებლად ითამაშეს და „ტორპედო" მეოთხე გოლს გადაურჩა...



ტალახში ბურთაობას სამი გოლი მოჰყვა

მალხაზ ახვლედიანის ფოტო



ერთ-ერთი იშვიათი შეტევა „ბათუმის" კართან

მალხაზ ახვლედიანის ფოტო

www.pfl.ge

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
### მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

# არა იღბალი, არა გოლი

თბილისი. 6 მარტი. 15.10 საათი. მიხეილ მესხი. 800 მაყურებელი

## დინამო 0:0 ამერი (1:2)

| დინამო | ამერი |
| --- | --- |
| დინამო: ლორია, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, დილმელაშვილი, ხმალაძე (ხუციშვილი 73), ფეიქრიშვილი (ოდიკაძე 60), გ. მერებაშვილი, ს. კობახიძე (სპასოევიჩი 67), ს. იაშვილი. სათადარიგონი: გრიშიკაშვილი; თომაშვილი, გ. კაშია, ლ. ნოზაძე. მწვრთნელი: დუშან უპრინი | ამერი: ქვაჩახია, კაკაშვილი (მესხი 55), დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დოლიძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, მჭედლიშვილი, ხ. დავითაშვილი, რ. წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 80). სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი; გაბისკირია, ჩიკვილაძე, სილაგავა, ჩიმაკაძე. მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: ბოლქვაძე (10), კაკაშვილი (13), იაშვილი (39), წინამძღვრიშვილი (57), კრშკო (64), ზელიჩი (85), სპასოევიჩი (90)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; გ. ჩიგოგიძე, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე

დამკვირვებელი: ნ. კაკულია

## სანამ უპრინი თავს იმართლებს, ამერი ნახევარფინალშია



რატი წინამძღვრიშვილმა ნედ ზელიჩს და შოთა კაშიას საქმე არ მოაკლო

დავით თავართქილაძე

**NO LUCK, NO GOAL** — ხშირ-ხშირად იმეორებდა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე დუშან უპრინი. უიღბლობა და საგოლე მომენტების გამოუყენებლობა ყოფილა მიზეზი იმისა, რომ „დინამომ“ „ამერს“ ორმატჩიან დაპირისპირებაში ვერ აჯობა — ასეთია უპრინის პოზიცია.

თასის მფლობელი „ამერი“ ამასობაში ნახევარფინალში გავიდა ძალიან დაძაბულ, საინტერესო და მნიშვნელოვან შეხვედრაში. რა თქმა უნდა, ნახევარფინალში გასვლა თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ ამ თამაშის მიღმა ძალიან ბევრი რამ იდგა. მარტივად რომ ვთქვათ, საქმე ასე ირჩეოდა — „დინამოში“ უფრო კარგად მუშაობენ თუ „ამერში“. ამ თემას მიჰყვება ქვეთემები, ქვეთემებს კიდევ ქვეთემები, დეტალები, ნიუანსები...

ერთ თამაშში მართლაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, სუსტმა მოუგოს ძლიერს, მაგრამ ფეხბურთში ორრაუნდიანი ბრძოლა ბევრ რამეს აშკარავებს, ბევრ კითხვას პასუხობს და ბევრ საკამათოს სპობს.

ხშირად დავობენ იმაზე, აქვს თუ არა ფორვარდების რაოდენობას არსებითი მნიშვნელობა. მაგრამ სადავო ალბათ არ უნდა იყოს ის, რომ ტაქტიკას მწვრთნელი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე ადგენს, რომ მწვრთნელს ვარირების უნარი უნდა ჰქონდეს, რომ შემტევი ნახევარმცველი მეტოქის საჯარიმოში ფორვარდივით ბასრი ვერ იქნება. უპრინმა გუშინაც ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით ითამაშა, ვერ დავიჩემებთ, რომ ამან განაპირობა „დინამოს“ უგოლობა, მაგრამ ჩეხის ასეთმა სიჯიუტემ არ გაამართლა.

„ამერს“ სამი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა ტრავმების გამო — გიორგი დეკანოსიძე, გივი დიდავა და გიზო ჯელაძე. დეკანოსიძეს „დინამოსთან“ მეოთხედფინალის პირველ მატჩშიც არ უთამაშია, დიდავას და ჯელაძის არყოფნამ კი რთულ სიტუაციაში ჩააგდო ამერელთა თავკაცი გიორგი ჩიხრაძე, ვინაც დიდავას ნაცვლად ვლადიმერ კაკაშვილი გაამწესა, ჯელაძის მაგივრად კი დავით მჭედლიშვილი. ამ იძულებითმა ნაბიჯმა „ამერის“ მდგრადობა ოდნავ მოარღვია, თუმც 19 წლის მჭედლიშვილმა მისთვის უცხო პოზიციაზე, ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე, ყოჩაღად ითამაშა.

„დინამოს“ პირველი იერიშები იქიდან წარიმართა, სადაც ამერელთა დაცვით ეშელონს კაკაშვილი ამაგრებდა. დინამოელთა შეტევის მარცხენა ფლანგზე სანდრო კობახიძე აქტიურობდა. „დინამო“ ბურთს მეტოქეზე მეტ ხანს ფლობდა, თამაშს ამწვავებდა კობახიძის ჩაწოდებით თუ ფლანგური ჯარიმებით. „ამერი“ კი მოედნის საკუთარ ნახევარზე იყო გამაგრებული, იქითა ნახევარზე მეტოქისთვის ბურთის ართმევას არ ცდილობდა. ხანდახან ამერელები ბურთის უმისამართოდ მოგერიებასაც არ ერიდებოდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა თამაში არ გახსნილიყო. მაგრამ ასეთი სიუჟეტისთვის „დინამოს“ ხომ სანდრო იაშვილი ჰყავს — ჯანმაგარი, აგრესიული ფორვარდი, მაღალი ბურთების მომნაგრებელი. მან პირველ წუთებშიც რამდენჯერმე აანერვიულა ამერელები, მაგრამ ეს იყო და ეს.

პირველი ხეირიანი შეტევა „ამერმა“ მე-15 წუთზე გაახერხა — გრიგოლ დოლიძე მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა, ლამის კუთხურის ალამთან მისულმა უკან და შუისკენ კარგად დააგორა ბურთი, რომელიც დავით ბოლქვაძემ 18-20 მეტრიდან არაზუსტად გაგზავნა გიორგი ლორიას კარისკენ.

„დინამომ“ მალევე დაიბრუნა დომინანტის როლი. დავით დილმელაშვილის ფლანგურ ჯარიმას „ამერის“ კარში პირველი დარტყმა მოჰყვა — ლევან ხმალაძის თავურს პოზიცია კარგად შეურჩია ზურაბ ქვაჩახიამ და ხელებში გააქვავა ბურთი. ცოტა ხანში „დინამოს“ ისევ ჰქონდა შანსი — კობახიძე კარგად გაისარჯა, გიორგი მერებაშვილს გადააწოდა ბურთი, მან კარის გასწვრივ დააგორა, მაგრამ „ამერის“ კართან ბურთისთვის ფეხის დამხვედრებელი არავინ აღმოჩნდა.

ამის მერე რატი წინამძღვრიშვილმა შეახსენა ყველას თავი, ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი, ვისაც ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია 5 მატჩი, ხანდახან რამდენიმე მცველში იღებდა ბურთს, საკუთარ გუნდს ამით ამოსუნთქვის საშუალებასაც აძლევდა და მეტოქესაც პრობლემებს უქმნიდა, ორჯერ კი ძალიან მწვავედ შეუტია — მილოშ კრშკო ოსტატურად ჩამოიცილა, დაარტყა, მაგრამ ბოლო წამს იმავ კრშკომ დაუფარა; მერე გიორგი ელბაქიძის შორეულ პასს დაუხვდა მეტოქის საჯარიმოში და ხარისხას გადაავლო ბურთი.

ტაიმის ბოლოს „ამერი“ ოდნავ გააქტიურდა „დინამოს“ ნახევარზე, მეტოქეს აგრძნობინა, რომ მთელი 90 წუთი საკუთარ საჯარიმო მოედანთან ყურყუტს არ აპირებდა, თუმც შეტევაში დიდი ძალებით წასვლას მაინც ერიდებოდა.

„დინამომ“ კი შესვენებამდე კიდევ ერთი კარგი შეტევა გაჩარხა — „ამერის“ საჯარიმოსთან იაშვილმა მოიგდო ბურთი, პაუზა გააკეთა, ჩინებული პასი გაუჭრა კობახიძეს, რომელმაც ბურთს ფეხი კარგად ვერ ამოსცხო და დარტყმა გაუცუდდა.

მეორე ტაიმიც „დინამოს“ შეტევებით დაიწყო.სიმწვავე ნელ-ნელა მატულობდა „ამერის“ საჯარიმო მოედანთან. „ამერის“ დაცვის ცენტრს ნაპრალები გაუჩნდა, „დინამომ“ მარწუხებს მოუჭირა. „ამერს“ ისევ უჭირდა ბურთის შენარჩუნება და ასეთ სიტუაციაში დიდხანს ვერ გაუძლებდა მეტოქის დაწოლას. მაგრამ „ამერს“ ძალიან გამოადგა 34 წლის მცველ ვახტანგ ხვადაგიანის ალღო და გამოცდილება, ის ბოლო დროს ვერ ხვდებოდა თერთმეტეულში, მაგრამ ჩიხრაძემ აქაც ზუსტად მოარტყა მიზანში — საჭირო დროს და საჭირო მომენტში ხვადაგიანი ეფექტურად გამოიყენა.

ჩიხრაძემ შეცვლაც დროულად გააკეთა — კაკაშვილის ნაცვლად უფრო ხისტი და მოქნილი მიხეილ მესხი შეუშვა.

„დინამოს“ ორი საგოლე შანსი ჰქონდა მეორე ტაიმში — პირველ წუთებზე გიორგი ფეიქრიშვილმა ახლოდან ვერ აჯობა ქვაჩახიას, მერე კი იაშვილი ერთხელაც აიწოწა ჰაერში, ლონივრად დაჰკრა თავური, ქვაჩახიამ ხელებში ვერ შეიმაგრა ბურთი, დამატებაზე იაშვილს მახვილი კუთხიდან მოუწია დარტყმამ და ქვაჩახიამაც კარგად დაფარა კარი.

ბოლო თხუთმეტ წუთში თამაში გაიხსნა, „დინამოს“ სხვა გზა ხომ აღარ ჰქონდა. უპრინის გუნდისგან დაწოლა პატარა არ იყო, მაგრამ დინამოელებს კომბინაციური თამაში უჭირდათ, ცოტა არ იყოს, პრიმიტიულად უტევდნენ. კვლავ აქტიური იყო იაშვილი, მაგრამ „ამერმა“ ყოველივე ამას გაუძლო, რამდენიმე მწვავე კონტრშეტევაც განახორციელა და ამერელთაგან საუკეთესო შანსი ისევ წინამძღვრიშვილს ჰქონდა — რატიმ მცველებსაც დაასწრო და მეკარესაც, მაგრამ თავით ძლიერად და ზუსტად ვერ დაარტყა მეკარისგან მიტოვებული კარისკენ.

თამაში ისეთი იყო, ტაქტიკურ, ტექნიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებზე სალაპარაკოს ბლომად რომ იძლევა. შეხვედრას საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერიც დაესწრო თანაშემწე რალფ მინგესთან ერთად. ტოპმიოლერს მაინცდამაინც არ უყვარს ქართული გუნდების თამაშებზე სიარული, მაგრამ ვისაც უყვარს, გუშინ დრო ტყუილად არ დაუკარგავს მიუხედავად სუსხისა და უგოლო მატჩისა.

### პრესკონფერენცია

*დუშან უპრინი:* მეტოქეს ნახევარფინალში გასვლას ვულოცავ. ჩემი ფეხბურთელების ბრძოლისუნარიანობით კმაყოფილი ვარ. თამაში მოედნის ერთ მხარეს მიმდინარეობდა, ბევრი საგოლე შანსი ვერ გამოვიყენეთ.

**— რატომ ითამაშა „დინამომ“ ასე ცუდად?**

— „დინამომ“ ნორმალურად ითამაშა, პრობლემა საგოლე მომენტების ვერგამოყენება იყო. დღეს ერთი გოლი რომ გაგვეტანა, კიდევ გავიტანდით.

**— თქვენი ხელმძღვანელობით „დინამომ“ ჯერ მხოლოდ ერთი პრინციპული მატჩი მოიგო პირველ წრეში „ოლიმპთან“...**

— ბრძოლას ჩემპიონატში განვაგრძობთ, უეფას თასის საგზური მაინც უნდა მოვიპოვოთ.

**— რა იყო მთავარი ფაქტორი იმისა, რომ ნახევარფინალში „დინამო“ კი არა, „ამერი“ გავიდა?**

— უიღბლობა, საგოლე მომენტების ვერგამოყენება.

*გიორგი ჩიხრაძე:* ჩვენთვის მთავარი იყო, გოლი არ გაგვეშვა და ტაქტიკა ამის მიხედვით ავაწყვეთ. დრო ჩვენ სასარგებლოდ მუშაობდა და ველოდით, რომ მატჩის ბოლოს მეტოქე გაიხსნებოდა, უფრო დიდი ძალებით შემოგვიტევდა და დაცვაში შეცდომებს დაუშვებდა. ასეც მოხდა, მაგრამ კონტრშეტევებისას დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ვივარგეთ.

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

www.pfl.ge

ზესტაფონი. 6 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 4000 მაყურებელი

### ზესტაფონი 1:1 ბორჯომი (2:1)

1:0 გ. ჩხეტიანი (11), 1:1 კოშკაძე (82)

| | |
|---|---|
| ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, მ. ლონლაძე, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი, ს. თოდუა, ჟონატასი, გ. ჭელიძე, ვიეირა (ბ. ნოზაძე 80), ნ. კვასხვაძე (ფიფია 74), გ. ჩხეტიანი (სანტოსი 89) სათადარიგონი: ჯალაღონია; მაისურაძე, იონანიძე, დოლონაძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ბორჯომი: კოდალაევი, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ქარქუზაშვილი (საყვარელიძე 76), თ. ლონლაძე ნადირაშვილი, კოშკაძე, შ. ჯიქია, კაკალაძე (კვერნაძე 62), გრიგალაშვილი, კაიდარაშვილი სათადარიგონი: შეყრილაძე; თედიაშვილი, გოგირაშვილი მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: ქარქუზაშვილი (17), კოდალაევი (90), გრიგალაშვილი (90), ფიფია (90)

მსაჯები: ლ. სილაგავა; მ. ჯელაძე, მ. ურუშაძე; ა. კრიჭაშვილი

დამკვირვებელი: ს. კვარაცხელია



ბორჯომელებმა მსაჯობით უკმაყოფილება მოედანზევე გამოთქვეს

# ბორჯომი სილაგავას გაეჯავრა

**ოთარ აბესაძე** *ზესტაფონიდან*

**მატჩის** მთავარი ამბები ბოლო წუთზე მოხდა: „ბორჯომი" გააფთრებით ცდილობდა მეორე გოლის გატანას, რაც დამატებით დროში გადაწევდა თამაშს. „დინამოდან" „ბორჯომში" განათხოვრებული ნახევარმცველი შოთა გრიგალაშვილი ზესტაფონელთა საჯარიმოში წაიქცა და კურორტელები პენალტს ითხოვდნენ, თუმც მსაჯმა ლაშა სილაგავამ ჯერ გრიგალაშვილი, მერე კი სტუმართა მეკარე ბესიკ კოდალაევი გააფრთხილა — მოკლედ, კოდალაევს ასი მეტრი სირბილი გაფრთხილებად დაუჯდა, მსაჯთან დავას შედეგი როდის მოუტანია...

ნამატჩევს „ბორჯომის" თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ თქვა: „მსაჯმა მითხრა, გრიგალაშვილზე წესების დარღვევა იყო, მაგრამ ბურთი ხაზს გარეთ იყო გასული და პენალტი ამიტომაც არ დავნიშნეო. მაშინ რატომღა მისცა გაფრთხილება გრიგალაშვილს?"

ხაჩიძემ ისიც დაამატა, პირველ წრეში ზესტაფონში 0:4 წავაგეთ, ახლა კი უკეთესი გუნდი გვყავს და შედეგზეც გვეტყობაო. „ზესტაფონის" მწვრთნელმა თემურ მახარაძეს კი თქვა, რთული თამაში იყო, მაგრამ მთავარი მიზანი შევასრულეთ, ნახევარფინალში გავედითო.

...მე-11 წუთზე „ზესტაფონის" მარჯვენაფლანგელმა ნიკა კვასხვაძემ გაგა ჩხეტიანს უპასა, რომელიც ბორჯომელთა ერთ მცველს გასცდა და ზუსტად დაარტყა — 1:0. მალე იმავე კვასხვაძის პასით ბრაზილიელი ვიეირა ურტყამდა თავით და კოდალაევმა აუღო.

პირველი ტაიმი ძალიან მოსაწყენი გამოდგა და მხოლოდ შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე, ბორჯომელთა ფორვარდ მიხეილ კაკალაძეს ჰქონდა კარგი შანსი — ახლო მანძილიდან კარს გადააცილა.

შესვენების შემდეგ ტემპმა იმატა, „ბორჯომიც" გააქტიურდა და გუნდებმა თითო კარგი მომენტი გაცვალეს. მასპინძელთაგან ვიეირას თავური იყო გამოსარჩევი, სტუმართაგან კი ალეკო კოშკაძეს გაუცუდდა შანსი.

82-ე წუთზე კოშკაძემ მაინც გაიტანა: დაახლოებით 30 მეტრიდან დაარტყა, „ზესტაფონის" მეკარე გრიგოლ ჭანტურია კი კარიდან ოდნავ წინ იყო გამოსული და კუთხეში ბურთი გაუშვა — 1:1.

სტუმრად „ზესტაფონთან" ფრე მშვენიერი შედეგია „ბორჯომისთვის", მაგრამ ამან ვერაფერი არგო სტუმრებს — ნახევარფინალში ფეროელები გავიდნენ.

მატჩის შემდეგ მსაჯობით აღშფოთებული იყო „ბორჯომის" პრეზიდენტი *დავით გელაშვილი*:

— მატჩის მიწურულს აბსოლუტური პენალტი არ დაგვინიშნეს. არბიტრმა ლაშა სილაგავამ გვითხრა კილეც, შოთა გრიგალაშვილზე წესების დარღვევა კი იყო, მაგრამ ბურთი უკვე მოედნის იქით იყო გადასულიო.

— საჩივარი რომ შევიტანოთ, აზრი არ აქვს, მაგრამ გაჩუმებაც არ შეიძლება. უკვე მერამდენე მატჩია, მსაჯები არაობიექტურად გვექცევიან, რაზეც მანამდე ხმა არ ამოგვიღია. გრიგალაშვილი აშკარად მოცელეს უკნიდან, პენალტი არ დანიშნეს და გრიგალაშვილი სიმულაციისთვის გააფრთხილეს. ყოველივე ამაზე უკვე ვეღარ გავჩუმდებით. ისიცაა, რომ არბიტრ სილაგავაჯს დრო გაჰყავდა.

# ჩიხურამ სიონი დაჯაბნა და ვერც დაჯაბნა

ბოლნისი. 6 მარტი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 700 მაყურებელი

### სიონი 0:1 ჩიხურა (3:2)

0:1 დვალი (24)

| | |
|---|---|
| სიონი: ბობღიაშვილი, კობაური, სვანიძე, ლ. ჭელიძე (ალავიძე 46), რაქვიაშვილი, სილაგაძე, კორღალიძე, ბაბუნაშვილი (ოქროპირიძე 46), სანიკიძე, ჩასემი, დარასელია სათადარიგონი: გავაშელი; ფრიდოლინი, გიგინეიშვილი, კვიტაიშვილი მწვრთნელი: კახა ცხადაძე | ჩიხურა: სტურუა, ბარამიძე, ქემოკლიძე, გიგაური, ლ. ვაშაკიძე, ბუცხრიკიძე, თავბერიძე, ზაბახიძე, კ. მახარაძე, ქუცურუა (სტეფანიშვილი 77), დვალი სათადარიგონი: დოლაძე; გვეტაძე, მ. მიქაძე მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი |

გაფრთხილება: დვალი (38), გიგაური (62), კობაური (69), მახარაძე (71), მახარაძე (71), ქუცურუა (72), რაქვიაშვილი (89)

გაძევება: მახარაძე (71)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; მ. ელიკაშვილი, გ. დოგრაშვილი; ა. ნონიკაშვილი

დამკვირვებელი: ა. დურსუნიში



გათამაშების ჯეკპოტი გახდა 3000 ლარი!

**ილია ნანობაშვილი** *ბოლნისიდან*

**ზურაბ ეძონია**, გასტონ ევორე, ზურაბ მამალაძე, ბაჩანა ცხადაძე, სერგი ორბელაძე, ბოიომო ფრიდოლინი, ვლადიმერ უგრეხელიძე — ნამატჩევს „სიონის" თავკაცმა კახა ცხადაძემ ამ მოთამაშეების არყოფნას გაუსვა ხაზი და გვითხრა, ისინი სიცხის გამო დაგვაკლდნენ, პლუს რამდენიმე ფეხბურთელი გუშინ შემოგვიერთდა ვარჯიშზეო.

როცა „ამერს", „ზესტაფონს" თუ სხვა წამყვან გუნდებს მოგება ენატრებათ, ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა მოიგო. საჩხერის „ჩიხურამ" ბოლნისში ჯაბა დვალის ეული გოლით იმარჯვა, მაგრამ ეს არ ეყო ნახევარფინალში გასასვლელად — სტუმრად გატანილი მეტი გოლით სათასო ოთხეულში „სიონი" გაძვრა.

„ისეც ნუ ვიტყვით, თითქოს „ჩიხურამ" თამაშით გვაჯობა. გოლის გაშვების მერე, თამაში დავალაგეთ, მაგრამ მთლიანობაში კონცენტრაცია გვაკლდა, პირველი მატჩის სტუმრად მოგებამ დათვური სამსახური გაუწია გუნდს. გარდა ამისა, საჩხერელებს კარგი ფეხბურთელები ჰყავთ და მთლიანობაში ყველაფერმა ამან ის შედეგი მოიტანა, რომ წავაგეთ, თუმც, რაც მთავარია, ნახევარფინალში გავედით. „სიონის" რეალური სახე დღეს კი არა, ჩემპიონატის წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასთან" თამაშისას გამოჩნდა" — გვითხრა კახა ცხადაძემ.

ბოლნისელთა მწვრთნელი მართალი იყო, „ჩიხურამ" დვალის გოლის გარდა ვერაფერი ღირებული ვერ შექმნა მასპინძელთა კართან და შტურმზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მოკლედ, „სიონმა" ბეწვის ხიდზე გაიარაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ საჩხერელთა ნახევარმცველ კახა მახარაძეს 71-ე წუთზე უაზრო წითელი ბარათი რომ არ აეკიდებინა, ვინძლო ქვემოქართლელებს მშვიდად არ ჩაეთამაშებინათ მატჩი. მახარაძემ ბოლნისელი გულშემატკივრის გინებას გინებითვე უპასუხა, რის გამოც მსაჯმა ყვითელი ბარათი უჩვენა, მაგრამ მახარაძემ ბილწსიტყვაობა გააგრძელა და წითელმაც არ დააყოვნა. კახა ბოლო სამ მატჩში მეორედ გააძევეს.



„სიონს" ექსსიონელმა ჯაბა დვალმა გაუტანა

ზურაბ დოლიძიშვილის ფოტო

გოლი ასე გავიდა: დვალმა მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი, ორ მცველთან ჭიდილისას კარგი პაუზა გააკეთა და ძელასხლეტით შეაგდო კარში. ჯაბა შარშანწინ სწორედ „სიონში" თამაშობდა, გოლი გოლზე გაჰქონდა, ხოლო გუნდის თავკაცი ამჟამად „ჩიხურას" მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი გახლდათ.

უკვე ვთქვით, მეორე გოლის გასატანად „ჩიხურას" ძალა არ ეყო და რეალური შანსი არც მისცემიათ. „სიონსაც" არ შეუქმნია ისეთი ხიფათი, ზვიად სტურუა რომ აეფორიაქებინა — რაღაცნაირად მდარე თამაში გამოვიდა, რაც დიდწილად ატალახებული მინდვრის ბრალია.

# ამისულაშვილი ნალჩიკელია

**რუსეთის** პრემიერლიგაში განაცხადების შეტანის ვადა იწურება და ნალჩიკის „სპარტაკმა" ბოლო დღეს გააფორმა ხელშეკრულება ალეკო ამისულაშვილთან. ყაბარდოელებმა ჩვენებური საჩემპიონატო განაცხადშიც შეიყვანეს. ამისულაშვილი კიევის „დინამოს" საკუთრებაა, მაგრამ უკრაინულ გრანდში ფეხის მოკიდება ვერ შეძლო. კიეველებმა ჩვენებური ჯერ სიმფეროპოლის „ტავრიაში" გაანათხოვრეს, შემდეგ კი თირასპოლის „შერიფში", სადაც ალეკომ შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარი გაატარა. ასე რომ, რუსული პრემიერლიგა მისთვის უცხო არ იქნება.

# ბოდიში და მაისურა მინდა!

## მარკო მატერაცის ისევ ფამოუარა



**მსოფლიოს** ჩემპიონ მარკო მატერაცის ზინედინ ზიდანზე ფიქრი არ ასვენებს — ბოლოს და ბოლოს, ბოდიში მომიხადოსო.

თუ ვინმე საფეხბურთო ცხოვრებაში შემოდგომიდან ჩაერთო, ვეტყვით, რომ შარშან ზაფხულზე გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა და მის ფინალში იტალიამ საფრანგეთს პენალტებით მოუგო.

თამაშის 111-ე წუთზე, ანუ დამატებითი დროის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე ფრანგთა კაპიტანმა ზინედინ ზიდანმა იტალიელ მცველ მარკო მატერაცის მკერდში თავი ჩაარტყა, რისთვისაც, ბუნებრივია, მოედნიდან გააძევეს.

ერთი ხანი რომ გავიდა, მატერაციმ აღიარა, რომ მან ზიდანს და შეაგინა და პასუხიც ამის გამო მიიღო. მატერაციმ თავისი საქციელი საჯაროდ მოინანია და ბოდიში მოიხადა, მაგრამ ახლა დაუჩემებია, დარტყმისთვის ბოდიში ზიდანმაც მომიხადოსო.

„როდესაც ბოდიში მქონდა მოსახდელი, მოვიხადე, მაგრამ ზიდანი იმავეს არ აკეთებს. ბოლოს და ბოლოს, მე მსოფლიოს ჩემპიონი ვარ და ამით ძალიან ვამაყობ. ბევრი ადამიანი თვლის, რომ პრობლემების შემქმნელი კაცი ვარ, მაგრამ, აბა, მოისმინონ, რას ლაპარაკობენ ჩემზე. ცხოვრებაში ერთხელ წამოვეგე პროვოკაციას და დღემდე ვნანობ. ვიცი, ცხოვრებაში რაც ჩამიდენია და ყველა ღონეს ვხმარობ, ცუდი წარსულს რომ ჩავაბარო, მაგრამ ბოროტი ადამიანი არასდროს ვყოფილვარ. ზიდანს და თუ ჰყავდა, სულ არ ვიცოდი. მისი წყენინება გულში არც გამივლია, უბრალოდ, ვცდილობდი, ჩემი კარი გოლისგან დამეცვა და ზიდანს მაისურზე ვქაჩავდი. მსაჯს რომ შემოეხედა, ჩვენს კარში პენალტს დანიშნავდა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვცდილობ, მას შევხვდე, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოდის. მინდოდა, ფოტორეპორტიორების წინაშე ჩამოგვერთმია ერმანეთისთვის ხელი და ჩემთვის სამახსოვროდ მაისურა მოეცა, მაგრამ ამაოდ" — თქვა ამასწინათ მატერაციმ.

**პაპუნა ძედია**

# რა გააპაკეთ საქმე ჩაქუჩები მიაჩაქუჩეს

**ამ** უქმეებზე გამართული საოცარი ლონდონური დერბი, რომელიც „ტოტენჰემმა" „ვესტ ჰემს" 4:3 მოუგო, ინგლისში საჯარო განხილვის საგანი გახდა.

მიზეზი „აპტონ პარკზე" მისული „ჩაქუჩების" ფანთა გარკვეული ნაწილის რასისტული თუ ანტისემიტური გამოხტომებია.

როგორც ამბობენ, „ვესტ ჰემის" ფანებისგან ასეთი ფრაზაც გაისმა: „მირჩევნია, პაკი ვიყო, ვიდრე ებრაელი". „პაკებს" ინგლისში პაკისტანელებს ეძახიან და მათზე თუ, ზოგადად, აზიელებზე თავდასხმები საკმაოდ ხშირია.

საინტერესოა ისიც, რომ ისტორიულად, ლონდონში მცხოვრები ებრაელების საყვარელი გუნდი „ვესტ ჰემია".

„ჩაქუჩების" ხელმძღვანელობა ამ ფაქტით შეშფოთდა და კლუბმა საკუთარი გამოძიებაც დაიწყო.

„ჩვენ ერთ-ერთ წამყვან როლს ვასრულებთ რასიზმთან ბრძოლაში. ფეხბურთი მსგავსი გამოხტომებისგან უნდა გაიწმინდოს. ჩვენ ასეთ ქმედებებს ვერ შევეგუებით. ყველაფერს დეტალურად გამოვიძიებთ" — ნათქვამია ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედის" ოფიციალურ განცხადებაში.

„რასისტულ გამოხტომებს ფეხბურთში არაფერი ესაქმება. იმედი გვაქვს, ეს ინციდენტი სათანადოდ იქნება გამოძიებული და შესაბამის ზომებსაც მივიღებთ" — აღნიშნა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მანჩესტერმა ფული იშოვა

**ალექს ფერგიუსონი** „მანჩესტერ იუნაიტედის" შეფებმა გაახარეს, ამ ზაფხულზე საუკეთესო ფეხბურთელების ყიდვისთვის საკმარის ფულს მოგცემთო.

საიდან ამდენი ფული? საიდან და, ახალი ხუთწლიანი ხელშეკრულებიდან, რომელიც მანჩესტერელებმა ნებისმიერი ტიპის საცხოვრებლის მთელ მსოფლიოში მყიდველ-გამყიდველ ესპანურ ფირმასთან გააფორმეს.

„იუნაიტედის" აღმასრულებელი შეფი დევიდ გილი: „ჩვენ ფეხბურთელები უნდა მივიწვიოთ. დიდი სპონსორული ხელშეკრულებების გასაფორმებლად ხომ გუნდი ლამაზ, წარმატებულ ფეხბურთს უნდა თამაშობდეს. მთავარი ყოველთვის, აი, ეს იყო. შარშან ზაფხულს მაიკლ კარიკი და ტომაშ კუშჩაკი ვიყიდეთ. ამას არც მომავალში შევწყვეტთ, რადგან ფული საკმარისად გვაქვს".

**პაპუნა ძედია**

# მე ვარ მილიონერი

## თუ ბიჭები ხართ, გამაგდეთ!



**მოკლედ**, ასეა: „ჩელსის" მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ კლუბის მეპატრონეს, რუს ოლიგარქ რომან აბრამოვიჩს შეუთვალა, სამსახურიდან გამაგდებ თუ არა, სულ არ მედარდებაო.

„თუ კლუბი ჩემ გაშვებას გადაწყვეტს, ესეც თამაშის შემადგენელი ნაწილი იქნება — თქვა პორტუგალიელმა — მე ყველა ვარიანტში მილიონერი ვიქნები და ახალ სამსახურსაც ერთ-ორ თვეში ვიშოვი".

რამ აიძულა მაურინიუ, ასეთი გამოსვლით საზოგადო ყურადღება მიეპყრო? იმან, რომ აბრამოვიჩმა ისევ „პორტსმუთის" მწვრთნელ ავრამ გრანტის „ჩელსიში" ერთ-ერთი მწვრთნელის თანამდებობაზე აყვანაზე დაიწყო ლაპარაკი.

და სიმართლე გინდათ? დაიწყებს გრანტი ლონდონურ კლუბში მუშაობას თუ არა, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. აქ მთავარი სხვა რამ არის, მისი სამსახურში აყვანა ყველამ მაურინიუს მოხსნის განცხადებად მიიღო.

მოდით, რომ არ დავიბნეთ, წინაისტორია მოვყვეთ...

საქმე ის გახლავთ, რომ აბრამოვიჩს გრანტის „ჩელსიში" ერთ-ერთ მწვრთნელად მიღება თავიდან შარშან შემოდგომაზე უნდოდა. მილიარდერი ფიქრობდა, რომ „პროტსმუთის" მწვრთნელი მას ანდრეი შევჩენკოს ათამაშებაში დაეხმარებოდა, მაგრამ მაურინიუმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, სამწვრთნელო შტაბს აბრამოვიჩი კი არა, მე ვადგენო. პორტუგალიელის რწმენით, აბრამოვიჩს მაშინ გრანტი რომ აეყვანა, „ლურჯების" ბანაკიდან მისი ასისტენტი სტივ კლარკი უნდა დაეთხოვათ. მაურინიუს ასეთ საქციელზე აბრამოვიჩმა ხელები გაასავსავა, ეს ტყუილიაო და თავისი უფროსობის დასამტკიცებლად კბილებში გამოსცრა, მე გრანტს სამსახურში მაინც ავიყვან, მაურინიუს კი ეს ამბავი, უნდა, მოეწონოს და, უნდა, ნუ მოეწონებაო.

გრინის ამბის შემდეგ ოლიგარქი მწვრთნელის კიდევ ერთმა გამონათქვამმა გადარია. მაურინიუმ დაიჩივლა, რომ „ჩელსის" დირექტორატი თავის ნებაზე მუშაობს და მასახალი ფეხბურთელების არჩევის საშუალებას არ აძლევს.

აბრამოვიჩთან დაახლოებულმა პირმა ინგლისელ ჟურნალისტებს უთხრა: „რომა მაურინიუს ქცევით დღემდე გაღიზიანებულია და ამწუთას ჯერ კიდევ არ იცის, დატოვებს „ჩელსის" სათავეში თუ არა. თუ ხანგრძლივი თანამშრომლობა უნდა, ჟოზემ საკითხებს აბრამოვიჩის თვალითაც უნდა შეხედოს. ბოლოს და ბოლოს, რომას გრანტის სამუშაოზე აყვანა უნდა და მაურინიუ ამას გაგებით უნდა შეხვდეს".

აქვე შეგახსენებთ მაურინიუს ერთ ნათქვამსაც: „ჩელსიდან" მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ გამაგდებენო.

„ერთადერთი ზეწოლა ისაა, საკუთარ თავს რომ ვუკეთებ. სხვა ხალხის ნათქვამი კი არ მაინტერესებს" — თქვა მაშინ პორტუგალიელმა.

**პაპუნა ძედია**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

# ბაიერნის ნათავარი ბაიერნის ფეხებს მეოთხედფინალში ხედავს



**ბაიერნი — რეალი (2:3)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, გიორლიცი, ჰარგრივსი, ვან ბომელი, სალიჰამიჯიჩი, მაკაი, პოდოლსკი

**მწვრთნელი:** ოტმარ ჰიცფელდი

**რეალი:** კასილიასი, ს. რამოსი, ფ. კანავარო, ელგერა, რ. კარლოსი, რობინიო, დიარა, გაგო, რაული, გუტი, ვან ნისტელროი

**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო

**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)



**დღეს** „ალიანს არენაზე" „ბაიერნი" „რეალს" უმასპინძლებს. გეცოდინებათ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ მადრიდულ მატჩში ბავარიელთა ექსბარსელონელმა მარკ ვან ბომელმა გოლის გატანის შემდეგ უწესო ჟესტით სამუდამოდ გადაიკიდა კასტილიური ფანობა.

გერმანელებს, სავარაუდოდ, ჰასან სალიჰამიჯიჩი და ბრაზილიელი ლუსიო დააკლდებათ. ბოსნიელმა სამშაბათს ვარჯიში მარცხენა მუხლის ტკივილის გამო შეწყვიტა, ხოლო ლუსიომ ბუნდესლიგის შაბათის მატჩში „ჰერტასთან" მარჯვენა ფეხის ცერა თითი დაიშავა და მისი თამაშიც სათუოა.

ბავარიელებს ყველაზე მეტად ლუსიოს არყოფნა აწუხებთ, რადგანაც ბრაზილიელმა ბოლო მატჩებში ფორმა თითქმის აღიდგინა.

„ლუსიო ზუსტად ისეთივე ფორმაშია, რაც კარიერის საუკეთესო წლებში იყო. ჩვენი გუნდისთვის შესანიშნავი იქნება, თუ ის ითამაშებს — განაცხადა „ბაიერნის" ფრანგმა მცველმა ვილი სანიოლმა — მერე რა, რომ წინა შეხვედრაში „რეალმა" გაიმარჯვა. ინდივიდუალური შესაძლებლობებით „რეალი" გვჯობნის, მაგრამ მორალურად და გუნდურად ჩვენ უფრო ძლიერები ვართ".

ჰიცფელდიც შეგირდივით ოპტიმისტურად აცხადებს, გავიმარჯვებთ და მომდევნო ეტაპზეც ჩვენ გავალთო.

„ბაიერნს" კეთილ წინასწარმეტყველად ძველი მწვრთნელი, ფელიქს მაგათიც მოევლინა..

„ძალიან გამიკვირდება, „რეალმა" „ბაიერნს" რომ სძლიოს. ბოლო ხანია „სამეფო გუნდი" სუსტ შთაბეჭდილებას ტოვებს და წესით, მიუნხენელებმა უნდა მოიგონ" — თქვა ჰერ ფელიქსმა „კიკერთან" ინტერვიუში.

„რეალი" ტრავმირებულებს, სისინიოს, რეიესს და დევიდ ბექემს მოისაკლისებს. არ ითამაშებს ოსკარ მინიამბრესიც.

კაპელოს ტრავმამორჩენილი რაული და ბრაზილიელი ემერსონიც დაუბრუნდნენ. ავი ენები ამბობენ, რომ ემერსონს არც არანაირი სატკივარი არ აწუხებდა, უბრალოდ, მადრიდელთაგან მოტყუებული კაცი „ბერნაბეუზე" თამაშს ერიდება..

დღეს კი, მოგეხსენებათ, ბურთაობა მადრიდიდან კარგა მოშორებით იქნება და ემერსონიც ხარივით ჯანზეა..

იყო ლაპარაკი, რომ გონსალო იგუაინი და რუუდ ვან ნისტელროი დროულად ვერ მოირჩენდნენ ტრავმებს და გერმანელებთან ვერ იბურთავებდნენ. ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა, ორივე ჯანმრთელადაა და თამაშს მოახერხებს.

„რეალმა" ბოლო მატჩი პრიმერადივიზიონში „ხეტაფესთან" ფრედ დაამთავრა. იმ თამაშში მონაწილეობა დისკვალიფიცირებულებს, ფაბიო კანავაროს, მაჰამადუ დიარასა და გუტის არ მიუღიათ — სამივე მადრიდელი „ალიანს არენაზე" ითამაშებს.

— „ბაიერნი" ძლიერი მეტოქეა. თუმცა, ვფიქრობ, რომ მეოთხედფინალში სწორედ „რეალი" გავა. სისულელე იქნება, „ბერნაბეუზე" მიღწეული უპირატესობა წყალს რომ გავატანოთ — აღნიშნა მადრიდელთა დამრიგებელმა ფაბიო კაპელომ.

**ლადო ხომერიკი**

# ხომ მოვიბოდიშე?!

## ვან ბომელი რეალს ახალ ჯოჯოხეთს ჰპირდება




**— იკერ კასილიასმა განაცხადა, რომ თქვენს კარგ ადამიანობაში ეჭვი არ ეპარება, თუმცა იმ დღეს გოლის გატანის შემდეგ სკანდალური ჟესტით შეცდომა ჩაიდინეთ...**

— კასილიასმა იცის, მინდორს გარეთ რა ადამიანიც ვარ და ასე იმიტომ ამბობს. თუმცა, როცა მოედანზე სათამაშოდ გავდივარ, ერთბაშად ვიცვლები და სულ მოგება მინდა. მოკლედ, სტადიონზე სულ სხვა პიროვნება ვარ.

**— თქვენს საქციელზე გვეტყვით? ასე რატომ მოიქეცით?**

— გულახდილად მითხარით, იმ ჟესტზე საუბარს კიდევ რამდენი ხნით აპირებთ — ერთი წლით თუ უფრო მეტით? უკვე ვთქვი, რომ მაშინ არავისთვის შეურაცხყოფის მიყენება არ მინდოდა!

**— თუმცა, ამასთანავე აღიარეთ, რომ მაღლა აღმართული მუშტი „რეალის" რამდენიმე ფეხბურთელს „მიუძღვენით"...**

— „ბერნაბეუზე" რაიმე გრანდიოზული სკანდალი არ მომხდარა, მაგრამ მატჩის შემდეგ პრესამ ყველაფერი გააზვიადა. „რეალ" — „ბაიერნის" მატჩის დეტალები ზედმეტი გულმოდგინებით გააშუქეს. მედიამ იმ ამბავისგან ნამდვილი საინფორმაციო ხანძარი გააჩაღა.

**— ხანძრის დანთების პატივი თქვენ გეკუთვნით...**

— მერე ბოდიში ხომ მოვიხადე?! რას ვიზამთ, ფეხბურთში ხდება ხოლმე ასეთი რალაცები. და თუ ვინმემ სიძულვილის ობიექტად გადამაქცია, მერწმუნეთ, ეს ნაკლებად მაინტერესებს.

**— პირველი მატჩის დაძაბულობა მეორეშიც გადაინაცვლებს — „ალიანს არენა" ალბათ ვნებებით აივსება...**

— „ალიანს არენა" „რეალისთვის" ერთ დიდ, მრისხანე კოცონად უნდა იქცეს. მადრიდელებს უპირატესობა აქვთ, რადგანაც პირველი შეხვედრა 3:2 მოგვიგეს, თუმცა მიუნხენში მათ ჩვენი გულშემატკივრების ჯოჯოხეთური პრესინგის ატანა მოუწევთ.

**— თავიდანვე შეტევაში გადახვალთ თუ „რეალის" შეცდომას დაელოდებით?**

— მეოთხედფინალში გასასვლელად ერთი გოლიც საკმარისია, თუმცა ვეცდებით, რაც შეიძლება, მეტი გავიტანოთ. უთავბოლოდ იერიშებში გადასვლა და დაცვის ხაზის მოშლა არ შეიძლება.

**— თქვენი გუნდის მატჩისწინა განწყობა როგორია?**

— საბრძოლო განწყობაზე ვართ და „ვოლფსბურგთან" და „ჰერტასთან" გამარჯვების შემდეგ „რეალთან" დამარცხებაზე არავინ ფიქრობს. ჩვენ „ბაიერნი" გვქვია და ლიგის მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ყველაფერს გავაკეთებთ.

**— ტრავმის გამო დევიდ ბექემი არ ითამაშებს — როგორ შეხვდით ამ ინფორმაციას?**

— გვერჩივნა, ეთამაშა, რადგანაც ბექჰემიანი „რეალის" დამარცხების სულ სხვა ელფერი ექნებოდა. საერთოდ კი, მარტო მატჩი მაინტერესებს, სხვა — ნაკლებად. ითამაშებს ბექემი, თუ არ ითამაშებს, განა „ბაიერნისთვის" სულ ერთი არ არის?! მაინც მოტივირებულნი და ერთ მუშტად შეკრულნი გავალთ მოედანზე. ატმოსფერო კარგია. ვეცდებით, მიზანიც შევასრულოთ და ფეხბურთისგანაც სიამოვნება მივიღოთ.

**— თუმცა უბექემო „რეალს" შედარებით ადვილად მოუვლით — ინგლისელმა ხომ მადრიდულ მატჩში ძალიან ძლიერად ითამაშა..**

— ჩემი აზრით, „რეალი" ინგლისელის გარეშე კატასტროფულად სუსტი არ იქნება. არ ითამაშებს ბექემი, მის ადგილს იგუაინი ან რობინიო დაიკავებს — ორივე მაგარი ფეხბურთელია.

**— „ბაიერნი" რაულმაც აზარალა...**

— რაული და ვან ნისტელროი შესანიშნავი ფორვარდები არიან, თუმცა მთელი ყურადღება მათზე არ უნდა გადავიტანოთ. „რეალს" ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს..

**— ერთ თვეში „ბაიერნში" ბევრი რამ შეიცვალა...**

— რაც ჰიცფელდი დანიშნეს მწვრთნელად, უამრავი რამ გამოვასწორეთ. ჰიცფელდი ფეხბურთელებთან ლაპარაკს არ გაურბის და სწორედ იმ საჭირო რწმენას გვიმატებს, ადრე ასე რომ გვაკლდა.

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

ჯერ მიუნხენის „ბაიერნი“, შემდეგ საძულველი „ბარსელონა“ — მადრიდის „რეალს“ რთული კვირა ელის — ჩემპიონთა ლიგაზე ბავარიულ გიგანტთან ჭიდილის მერე უმალ კატალონიელ მტერს შეეჯახება. „მიუნხენის „ბაიერნი“ და „ბარსელონა“ ძლიერი გუნდები არიან, მაგრამ, თუ ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ, მათი დამარცხება შეგვიძლია“ — ამბობს სამეფო თეთრების კაპიტანი და მოთამაშე ლეგენდა რაული. გთავაზობთ კასტილიელთა მეშვიდე ნომერთან ინტერვიუს, რომელიც „რეალის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა...



AFP

# ბაიერნი და ბარსელონა?
## რა სისულელეა, ასეთი ადვილი მატჩები ჩვენთვის არ არსებობს

— უპირველეს ყოვლისა, ამას გკითხავთ: თავს როგორ გრძნობთ?

— გაცილებით უკეთესად ვარ. მინდა, მიუნხენში სრულ საბრძოლო ფორმაში ვიყო. სასიამოვნოა, რომ ამ კვირაში ორ უმნიშვნელოვანეს მატჩში მომიწევს თამაში.

— მიუნხენის „ბაიერნთან“ თუ გაიმარჯვეთ, ეს „ბარსელონასთან“ თამაშისთვისაც მოგცემთ სტიმულს...

— „ბარსელონასთან“ მატჩზე უეჭველად დიდ გავლენას მოახდენს ჩვენი და კატალონიელთა საჩემპიონთალიგო თამაშები. ორივეს ურთულესი მატჩები გვიწევს ევროპაში, თუმცა ისიცაა, რომ თითოეული „ელ კლასიკო“ ერთმანეთისგან განსხვავდება ხოლმე.

— თქვენი აზრით, ვისთვის უფრო დამღლელი იქნება ჩემპიონთა ლიგა — „რეალისთვის“ თუ „ბარსელონასთვის“?

— „ბარსელონას“ ერთი უპირატესობა აქვს — ისინი ჩვენზე ერთი დღით ადრე თამაშობენ და შაბათისთვის ძალების მოსაკრებად უფრო მეტი დრო ექნებათ. თუმცა, როგორც „ლივერპული“, ისე ბაიერნი“, „იზრუნებენ“ იმისთვის, რომ „ბარსელონა“ და „რეალი“ კვირის ბოლოს არაქათგამოცლილები შეხვდნენ. თუ „ბარსელონა“ ლიგის მეოთხედფინალში გავიდა, ეს მათ ჩვენთან მატჩში ფსიქოლოგიურად დაეხმარებათ.

— ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან გავარდნა დიდი იმედგაცრუება იქნება თქვენთვის?

— თუ მეოთხედფინალს ვერ მივაღწიეთ, ეს ძნელად შესაგუებელი იქნება ჩვენთვის. საკუთარი ძალების გვჯერა და თან მცირე უპირატესობას ვფლობთ, თუმცა ისიც ვიცით, რომ საკუთარ კედლებში „ბაიერნი“ ყოველთვის კარგად თამაშობს.

— შეგვიძლია, თამამად ვივარაუდოთ, რომ „ალიანს არენას“ მატჩში დაძაბულობა პიკს მიაღწევს...

— ეს ნორმალური ამბავი იქნება, უფრო მეტიც — ლოგიკური. „ბაიერნის“ ახალ სტადიონზე პირველად ვთამაშობთ. იქ გულშემატკივრები მოედანთან ძალიან ახლოს არიან და გარემოც განსაკუთრებული უნდა იყოს. თუმცა ჩვენ ძნელ სიტუაციებს მიჩვეულნი ვართ. ახლა მთავარია, შეხვედრა ჩვენი კარნახით წარიმართოს და „ალიანს. არენას“ „მოთუხთუხე ქვაბიც“ „რეალის“ გოლებმა გააცივოს.

— თანამედროვე გერმანული გრანდი უფრო საშიშია, ვიდრე წინა წლების „ბაიერნი“?

— „ბაიერნი“ ყოველთვის სახიფათოა. მართალია, წლეულს კარგად ვერ ითამაშეს, მაგრამ, რაც მწვრთნელად ოტმარ ჰიცფელდი მივიდა, საქმე თითქმის გამოასწორეს. მაგალითად, ამასწინათ ბუნდესლიგაში სტუმრად მნიშვნელოვანი შეხვედრა მოიგეს და, დარწმუნებული ვარ, ამაზე არ გაჩერდებიან. თავისი სიძლიერე „ბაიერნმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართულ მატჩშიც დაამტკიცა. გაიხსენეთ — პირველ ტაიმში სუსტად იბურთავეს, მაგრამ მეორეში ფარ-ხმალის დაყრის ნაცვლად გონს მოვიდნენ და მათთვის ასე მნიშვნელოვანი გოლიც შეაგდეს.

— მარკ ვან ბომელის გამოხდომა „ბერნაბეუს“ ისტორიად დარჩა...

— ვიმედოვნებ, რომ ასეა. „ალიანს არენაზე“ ნამდვილ, სუფთა ფეხბურთს ველი და ვფიქრობ, რომ სხვაზე მეტად ყურადღებას ჭეშმარიტად საფეხბურთო მოვლენები მიიპყრობენ.

— თქვენი აზრით, მიუნხენის „ბაიერნის“ დამარცხების საიდუმლო რაში არის?

— დროთა განმავლობაში კარი მშრალად თუ შევინახეთ, გერმანელები იძულებულნი იქნებიან, უფრო გარისკონ, რასაც „რეალი“ შესაბამისად გამოიყენებს. კიდევ უფრო კარგი იქნება, გოლს თავიდანვე თუ გავიტანთ — ამ შემთხვევაში მეტოქე გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდება. მთავარია, სიმშვიდემ არ გვიღალატოს.

— და მაინც: ფავორიტად ვის თვლით?

— შანსები თითქმის თანაბარია. მართალია, „სანტიაგო ბერნაბეუს“ მატჩის შედეგიდან გამომდინარე, მცირე უპირატესობას ვფლობთ, მაგრამ გერმანელებს ერთი გოლი სჭირდებათ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად. თავიდანვე ვიცოდით, რომ მერვედფინალის თამაშები უკიდურესად ძნელი იქნებოდა. ახლა კი ყველაფერი „ალიანს არენაზე“ უნდა გადაწყდეს და ვნახოთ...

— და „ელ კლასიკოში“ ვინ იქნება ფავორიტი?

— „ბარსელონა“! ვფიქრობ, რომ ვინც დერბიში შინ თამაშობს, მცირე უპირატესობა აქვს. ტრიბუნები საყვარელ გუნდს დიდად ეხმარებიან. თუმცა, უცხო გარემოს მიუხედავად, „რეალს“ სამი ქულის მოპოვების ძალა ნამდვილად შესწევს. ეს გამარჯვება პრიმერადივიზიონის ჩემპიონობისთვის უფრო სერიოზული განაცხადის უფლებას მოგვცემს. უკვე საკმარისად ბევრი ქულა დავკარგეთ იმისთვის, რომ „კამპ ნოუს“ მ[illegible] ქარი გავატანოთ. [illegible] ბრძოლო განწყობით ჩავალთ და ჩვენსას ბოლომდე ვეცდებით...

— ამ სეზონის პირველი დერბი კი მადრიდის „რეალმა“ მოიგო...

— იმ მატჩში „ბარსელონას“ აშკარად ვაჯობეთ და გამარჯვება სამდვილად დავიმსახურეთ, მაგრამ „კამპ ნოუს“ შეხვედრა განსხვავებული იქნება. როცა ბარსელონელები თავიანთ მოედანზე თამაშობენ, უფრო მეტს უტევენ, ბურთიც ძირითადად მათთანაა და მეტოქეს მიიმე დღეში აგდებენ. თუმცა ჩვენც გვაქვს ჩვენი უტყუარი იარაღები.

— თქვენთვის კარგი ის არის, რომ წლეულს სტუმრად შედარებით ეფექტურად და შედეგიანად თამაშობთ...

— გეთანხმებით. სტატისტიკის მიხედვით, ამ სეზონში სტუმრად გაცილებით უკეთესად ვთამაშობთ, ვიდრე „სანტიაგო ბერნაბეუზე“, სადაც უამრავი ქულა გავანიავეთ. რაც დავკარგეთ, იმის ნახევარიც რომ არ გაგვეშვა ხელიდან, დღეს სატურნირო ცხრილში გაცილებით მაღლა ვიქნებოდით. საშინაო თამაშები ახლაც პრობლემაა ჩვენთვის, თუმცა, იმედი მაქვს, პრიმერადივიზიონის ფინალამდე ამას მოვაგვარებთ.

— მაინც, „ბარსელონაზე“ რას იტყვით?

— ერთდროულად სამივე დიდ ტურნირში იბრძვის — პრიმერადივიზიონში, კოპა დელ რეიზე და ჩემპიონთა ლიგაში. ბოლო დღეებში კატალონიელებს მნიშვნელოვანი მოთამაშეები გამოუჯანმრთელდნენ, რამაც „ბარსელონა“ ისევ ძნელად დასამარცხებელი გუნდი გახადა, თუმცა ესპანეთის ჩემპიონატშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც არიან გუნდები, რომელთაც „ბარსელონას“ წაქცევა შეუძლიათ.

— ამ კვირაში ძალიან ძნელი შეხვედრები გელით — „რეალის“ მოთამაშეთა განწყობა როგორია?

— ძალიან ძნელი შეხვედრები?! თქვენ რომ იცოდეთ, ჩვენში რა ერთიანობა სუფევს, მაშინ იტყოდით, რომ ამ კვირაში „რეალს“ უადვილესი შეხვედრები ელის. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა და „კამპ ნოუზე“ მოგებაა. ამას აუცილებლად შევძლებთ, იმიტომ რომ „რეალი“ ერთ მტკიცე ბირთვადაა შეკრული.

## გერმანია
### II ბუნდესლიგა. XXIV ტური
**კარლსრუე 2:1 კიოლნი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 24 | 15 | 6 | 3 | 52:26 | 51 |
| ჰანზა | 24 | 12 | 10 | 2 | 36:19 | 46 |
| დუისბურგი | 24 | 11 | 10 | 3 | 44:27 | 43 |
| ლაუტერნი | 24 | 10 | 10 | 4 | 32:19 | 40 |
| აუე | 24 | 12 | 3 | 9 | 38:33 | 39 |
| ფრაიბურგი | 24 | 10 | 8 | 6 | 33:30 | 38 |
| ფიურტი | 24 | 10 | 6 | 8 | 37:29 | 36 |
| მიუნხენი | 24 | 10 | 5 | 9 | 34:34 | 35 |
| აუგსბურგი | 24 | 8 | 9 | 7 | 26:23 | 33 |
| კიოლნი | 24 | 8 | 7 | 9 | 32:34 | 31 |
| კობლენცი | 24 | 8 | 7 | 9 | 27:31 | 31 |
| ოფენბახი | 24 | 8 | 5 | 11 | 31:38 | 29 |
| პადერბორნი | 24 | 6 | 9 | 9 | 19:24 | 27 |
| უნტერჰახინგი | 24 | 6 | 7 | 11 | 23:29 | 25 |
| კარლ ცაისი | 24 | 6 | 7 | 11 | 26:41 | 25 |
| ესენი | 24 | 5 | 7 | 12 | 24:29 | 22 |
| ბურგჰაუზენი | 24 | 4 | 7 | 13 | 23:47 | 19 |
| ბრაუნშვაიგი | 24 | 2 | 7 | 15 | 11:35 | 13 |

## პორტუგალია
### სუპერლიგა XX ტური
**ბოავიშტა 0:0 ბელენენსეში**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 20 | 16 | 1 | 3 | 44:10 | 49 |
| ბენფიკა | 20 | 14 | 3 | 3 | 40:15 | 45 |
| სპორტინგი | 20 | 11 | 7 | 2 | 29:12 | 40 |
| ბრაგა | 20 | 9 | 4 | 7 | 26:25 | 31 |
| ლეირია | 20 | 8 | 5 | 7 | 16:18 | 29 |
| ფერეირა | 20 | 7 | 8 | 5 | 22:26 | 29 |
| ნასიონალი | 20 | 8 | 4 | 8 | 30:26 | 28 |
| ბელენენსეში | 20 | 8 | 4 | 8 | 21:20 | 28 |
| მარიტიმუ | 20 | 8 | 4 | 8 | 23:25 | 28 |
| ნავალი | 20 | 7 | 6 | 7 | 20:21 | 27 |
| ბოავიშტა | 20 | 5 | 9 | 6 | 22:22 | 24 |
| ამადორა | 20 | 6 | 6 | 8 | 14:21 | 24 |
| აკადემიკა | 20 | 5 | 4 | 11 | 21:32 | 19 |
| სეტუბალი | 20 | 3 | 5 | 12 | 11:29 | 14 |
| ბეირა მარი | 20 | 2 | 7 | 11 | 19:41 | 13 |
| ავეში | 20 | 2 | 5 | 13 | 11:26 | 11 |

## ინგლისი
### ჩემპიონატი. XXXVI ტური
**პრესტონი 3:1 საუთჰემპტონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბირმინგემი | 35 | 20 | 7 | 8 | 53:33 | 67 |
| დერბი | 35 | 20 | 6 | 9 | 48:35 | 66 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 18 | 9 | 9 | 63:41 | 63 |
| სანდერლენდი | 36 | 19 | 6 | 11 | 54:37 | 63 |
| პრესტონი | 35 | 18 | 8 | 9 | 53:39 | 62 |
| ვულვზი | 36 | 18 | 8 | 10 | 41:37 | 62 |
| საუთჰემპტონი | 36 | 16 | 11 | 9 | 57:42 | 59 |
| კარდიფი | 36 | 16 | 11 | 9 | 50:37 | 59 |
| სტოკი | 36 | 14 | 12 | 10 | 43:29 | 54 |
| კოლჩესტერი | 36 | 15 | 7 | 14 | 55:45 | 52 |
| კრ. პალასი | 36 | 13 | 10 | 13 | 43:40 | 49 |
| პლიმუთი | 35 | 11 | 15 | 9 | 47:45 | 48 |
| უენსდი | 35 | 13 | 8 | 14 | 51:55 | 47 |
| ლესტერი | 35 | 11 | 12 | 12 | 39:41 | 45 |
| ქოვენთრი | 36 | 13 | 6 | 17 | 37:47 | 45 |
| ნორვიჩი | 34 | 12 | 8 | 14 | 45:53 | 44 |
| იფსვიჩი | 35 | 12 | 6 | 17 | 42:47 | 42 |
| ბარნლი | 35 | 10 | 11 | 14 | 36:38 | 41 |
| ბარნსლი | 36 | 11 | 5 | 20 | 40:61 | 38 |
| ლუთონი | 36 | 9 | 9 | 18 | 46:62 | 36 |
| ჰალი | 35 | 9 | 8 | 18 | 35:50 | 35 |
| ქუინზ პარკი | 35 | 9 | 8 | 18 | 40:56 | 35 |
| საუთენდი | 36 | 7 | 11 | 18 | 36:58 | 32 |
| ლიდსი | 36 | 9 | 4 | 23 | 36:62 | 31 |

## იტალია
### სერია B. XXVI ტური
**მანტოვა 1:1 ტრიესტინა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 25 | 17 | 7 | 1 | 49:15 | 49 |
| ნაპოლი | 25 | 12 | 11 | 2 | 31:17 | 47 |
| ჯენოა | 25 | 12 | 6 | 7 | 37:31 | 42 |
| მანტოვა | 25 | 10 | 11 | 4 | 30:18 | 41 |
| ბოლონია | 25 | 12 | 5 | 8 | 29:22 | 41 |
| პიაჩენცა | 25 | 12 | 5 | 8 | 29:28 | 41 |
| რიმინი | 25 | 10 | 9 | 6 | 36:24 | 39 |
| ალბინოლეფე | 25 | 7 | 14 | 4 | 27:22 | 35 |
| ჩეზენა | 26 | 9 | 8 | 9 | 35:38 | 35 |
| ტრევიზო | 25 | 8 | 9 | 8 | 31:28 | 33 |
| ფროზინონე | 25 | 8 | 9 | 8 | 26:28 | 33 |
| ბრეშა | 25 | 8 | 9 | 8 | 26:28 | 33 |
| ვიჩენცა | 25 | 8 | 7 | 10 | 30:26 | 31 |
| ბარი | 25 | 7 | 9 | 9 | 22:23 | 30 |
| ტრიესტინა | 25 | 7 | 10 | 8 | 19:24 | 30 |
| სპეცია | 26 | 5 | 11 | 10 | 26:35 | 26 |
| ლეჩე | 25 | 7 | 5 | 13 | 29:39 | 26 |
| კროტონე | 25 | 5 | 10 | 10 | 21:35 | 25 |
| ვერონა | 25 | 5 | 7 | 13 | 12:25 | 22 |
| მოდენა | 25 | 5 | 7 | 13 | 12:25 | 22 |
| პესკარა | 25 | 4 | 8 | 13 | 21:40 | 19 |
| არეცო | 25 | 4 | 11 | 10 | 20:27 | 17 |

## საფრანგეთი
### II დივიზიონი. XXVII ტური
**ტურსი 2:3 კაენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 26 | 16 | 8 | 2 | 40:13 | 56 |
| კაენი | 27 | 15 | 9 | 3 | 49:26 | 54 |
| სტრასბური | 27 | 14 | 10 | 3 | 33:20 | 52 |
| ლე ავრი | 27 | 12 | 10 | 5 | 40:22 | 46 |
| ამიენი | 27 | 13 | 5 | 9 | 35:32 | 44 |
| დიჟონი | 27 | 11 | 8 | 8 | 27:30 | 41 |
| ბასტია | 27 | 10 | 9 | 8 | 33:29 | 39 |
| შატორუ | 27 | 11 | 6 | 10 | 30:32 | 39 |
| გრენობლი | 27 | 9 | 11 | 7 | 38:32 | 38 |
| რეიმსი | 27 | 10 | 7 | 10 | 34:31 | 37 |
| გენიონი | 27 | 10 | 5 | 12 | 31:35 | 35 |
| აიაჩო | 27 | 9 | 7 | 11 | 32:34 | 34 |
| ლიბურნი | 26 | 8 | 7 | 11 | 32:36 | 31 |
| მონპელიე | 27 | 7 | 8 | 12 | 28:33 | 29 |
| ბრესტი | 27 | 5 | 13 | 9 | 29:32 | 28 |
| გენგამი | 27 | 6 | 10 | 11 | 28:32 | 28 |
| ნიორი | 27 | 5 | 10 | 12 | 23:37 | 25 |
| ისტრი | 27 | 6 | 7 | 14 | 22:41 | 25 |
| კრეტეი | 27 | 5 | 9 | 13 | 19:37 | 24 |
| ტურსი | 27 | 5 | 5 | 17 | 24:43 | 20 |

# ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

## ერიდეთ მყვინთავებს!

**მილანი (იტალია) — სელტიკი (შოტლანდია) (0:0)**
**სავარაუდო შემადგენლობები**
**მილანი:** დიდა, ოდო, ბონერა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, ჟილარდინო, ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
**სელტიკი:** ბორუცი, ტელფერი, მაკმანუსი, ოდია, ნეილორი, ნაკამურა, სნო, ლენონი, მაკგიდი, მილერი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)


შუნსუკე ნაკამურას იტალიელთა სიმულანტობის ეშინია

**გლაზგოს** „სელტიკის" იაპონელმა ნახევარმცველმა შუნსუკე ნაკამურამ „მილანთან" მატჩის წინ იტალიური კლუბების ფორვარდებს „მყვინთავები" უწოდა. თავად სამი წელი გაატარა „რეჯინაში" და სელტიკელი თანაგუნდელები გააფრთხილა, „მილანის" თავდამსხმელებთან ჯაჯგურში ცოტა ყურადღებით იყავითო...

„დარწმუნებული ვარ, პენალტის გამოგონებას ეცდებიან — განაცხადა ნაკამურამ „გაძეტა დელო სპორტთან" საუბარში — თუკი ფორვარდი გაგცდა, სულ ოდნავაც რომ შეეხო, ეგრევე გაიშხლართება. სწორედ ესაა სხვაობა იტალიურ და შოტლანდიურ ფეხბურთს შორის. შოტლანდიაში მსგავსი რამ ძალიან, იშვიათია და თუ მოხდება, ფანები „მყვინთავს" შეარცხვენენ".

მილანელთა მცველმა მასიმო ოდომ განაცხადა: „რთული მატჩი გველის, მაგრამ ფავორიტები ჩვენ ვართ, რადგან ეს „მილანია" და „სან სიროზე" თამაშობს".

2002 წლიდან „მილანი" ყოველთვის გადის მეოთხედფინალში, „სელტიკი" კი ასე შორს არასოდეს გასულა ჩემპიონთა ლიგაში.

ალბერტო ჯილარდინო: „სელტიკი" „რეინჯერსს" 19 ქულით რომ უსწრებს, ეს მათ სიძლიერეზე მეტყველებს და ამიტომ მაქსიმალური მობილიზება დაგვჭირდება ამ თამაშის მოსაგებად".

სტატისტიკა კი გვაჩვენებს, რომ 2004 წლიდან ის გუნდები, რომლებმაც მერვედფინალში პირველი მატჩი 0:0 ითამაშეს, ტურნირს გამოეთიშნენ.

„ძალიან მძიმე სეზონი გვქონდა, მაგრამ გვირაბის ბოლოს ცოტა სინათლე გამოჩნდა — თქვა კარლო ანჩელოტიმ „კიევოსთან" მოგების შემდეგ — ევროთასებზე „მილანი" ყოველთვის განსაკუთრებულად თამაშობდა და ამჯერადაც ასე იქნება. ჩემს გუნდს გააჩნია ყველაფერი, რაც ჩემპიონთა ლიგაში წინსვლისთვის აუცილებელია".

რადგან რონალდოს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არა აქვს, ალბერტო ჯილარდინის შეტევაში ფილიპო ინძაგი დაეხმარება. 33 წლის „პიპო" ევროთასებზე გატანილი გოლების რაოდენობით (55) იტალიაში პირველია.

„სელტიკს" არ ეყოლება ტრავმირებული პოლონელი ფორვარდი მაცეი ჟურავსკი, ხოლო კრეიგ ბიტის თამაში საეჭვოა, რაკი „დანფერმლაინთან" მატჩში დაშავდა.

„ჩვენ ერთი გოლის გატანა გვჭირდება, მაგრამ „მილანის" დარი გამოცდილ გუნდთან გავვიჭირდება. მე ვუთხარი ფეხბურთელებს, რომ თუ ვერ მოიგებენ, 0:0-იც კარგი შედეგი იქნება" — განაცხადა „სელტიკის" მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## სიცოცხლე ტიერი ანრის ფასად
### გაარტყამს პსვ ასიანში?

**არსენალი (ინგლისი) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) (0:1)**
**სავარაუდო შემადგენლობები**
**არსენალი:** ლემანი, ებუ, ტურე, გალასი, კლიში, გლები, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, ლიუნგბერგი, ანრი, ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
**პსვ ეინდჰოვენი:** გომესი, სუნი, ალექსი, ადო, სალსიდო, კულინა, სიმონსი, მენდესი, კოკუ, ა. კონე, ფარფანი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

**ინგლისის** ლიგის და ასოციაციის თასებზე ხელმოცარული ლონდონის „არსენალი" ჩემპიონთა ლიგასღა შემორჩა და დღეს ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენს" თუ ვერ მოუგებს, პრემიერლიგის ამარა დარჩება, სადაც, ჰა და ჰა, შეიძლება, მესამე ადგილს უწიოს.

„არსენალი" ლიგის თასის ფინალში „ჩელსისთან" დამარცხდა, შემდეგ ასოციაციის თასიდან „ბლექბერნმა" გააძევა და ახლა ერთი შანსი პსვ-ს გავლაა, რაც ორი მეოთხედფინალური მატჩით მაინც გაუგრძელებს „სიცოცხლეს ევროპაში".

„მეთოფეებს" არ ეყოლებათ ტომაშ როსიცკი, ხოლო ტიერი ანრი, ტრავმის მიუხედავად, ითამაშებს — არსენ ვენგერი იძულებულია, გარისკოს.

„მეოთხედფინალში რომ ვერ გავიდეთ, დიდად სამწუხარო იქნება, მაგრამ ეს ფეხბურთელების განვითარებას ვერ შეაჩერებს — განაცხადა მწვრთნელმა — გუნდი უკვე მანქანას ჰგავს და მისი შემჩერებელი არ არსებობს. ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ახალგაზრდების პროგრესს ვამჩნევ. თავად განსაჯეთ: ლიგის თასის ფინალში „ჩელსისთან" „არსენალის" მოთამაშეთა საშუალო ასაკი 19 წელი იყო და გამოცდილ ჩელსელებს ტოლი არ დაუდეს. ამ სეზონში კიდევ დაგვრჩა მიზანი — რაც შეიძლება; შორს წავიდეთ ჩემპიონთა ლიგაში, ისევე, როგორც შარშან. ცოტა უიღბლობაც შემოგვეჩვია, რაკი ტიერი ანრის და უილიამ გალასს ტრავმების გამო ბევრი გაუცდათ, მაგრამ ამის კვალობაზე კიდევ კარგად ვითამაშეთ. ამჯერადაც რთულ ვითარებაში ვართ პსვ-სთან და 0:1-ის შემობრუნება არცთუ იოლია, თუმც ჩემი ფეხბურთელებისა მჯერა".

ამ უქმეებზე „რედინგთან" 2:1 მოგებულ მატჩში „არსენალს" არ ჰყავდა დისკვალიფიცირებული ებუე, ტურე და ადებაიორი, რომლებიც დღეს ითამაშებენ.

სტუმრებს ტრავმირებული მცველები მანუელ და კომტა და იან კრომკამპი დააკლდებათ — მათ ერიკ ადო და სუნ ჟიაჰი შეცვლიან.

მსუბუქად დაშავებულები არიან მეკარე გომესი, ფილიპ კოკუ და ალექსი.

ბოლოს კი ცოტა სტატისტიკა: „არსენალს" ჩემპიონთა ლიგის ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხში გოლი არ გაუტანია. გარდა ამისა, 14 საშინაო შეხვედრაში არ დამარცხებულა, აქედან ცხრაში კარი მშრალად შეინახა და სულ ხუთი გოლი გაუშვა.

პსვ თუ მოიგებს, მე-100 გამარჯვება იქნება ევრომატჩებში.

**ვაჟა ხუციშვილი**

## გიგზის გიზგიზი: ლილი მანჩესტერში სიმართლის მარცვლებს ეძებს

**მანჩესტერი (ინგლისი) — ლილი (საფრანგეთი) (1:0)**
**სავარაუდო შემადგენლობები**
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, კარიკი, სქოულზი, გიგზი, რუნი, ლარსონი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
**ლილი:** ტ. სილვა, შალმე, ტავლარიდისი, პლესტანი, ტაფორო, მაკუნი, ბოდმერი, კეიტა, ფოვერჟი, ობრანიაკი, ოდემვინჟი
მწვრთნელი: კლოდ პუელი
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

**ორპვირიანი** ჩივილისა თუ აპელაციის შემდეგ ფრანგულ „ლილს" დღეს მანჩესტერში მოუწევს სიმართლის ძიება.

ამ გუნდების პირველი მატჩი ლანსში დიდი არეულობით და სტუმართა 1:0 გამარჯვებით დასრულდა. შეგახსენებთ, რომ რაიან გიგზმა საჯარიმო დარტყმით მაშინ გაიტანა, სანამ მეკარე ტონი სილვა კედელს აყენებდა.

ლილელებმა ეს უსამართლოდ მიიჩნიეს, მოედნიდან გასვლას და თამაშის ჩაშლას აპირებდნენ, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრეს. ფრანგულმა კლუბმა უეფაში იჩივლა, გიგზის გოლი გააუქმეთო და უარით გამოისტუმრეს, შემდეგ გაასაჩივრა და კვლავ ვერაფერს გამორჩა. იქაურმა პოლიციამ კი სტადიონზე მანჩესტერელ ფანებს ურტყა...

ეს ყველაფერი დღევანდელ თამაშზე ალბათ აისახება და, ცხადია, „ლილს" „ოლდ ტრაფორდი" ია-ვარდით არ შეეგებება.

„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა პარასკევს კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ლილელი ფეხბურთელები მოედნიდან გასვლის მცდელობის გამო მოკვეთას იმსახურებდნენ და დიდი უსამართლობა იქნება, თუკი მეოთხედფინალში ისინი გავლენ...

„დარწმუნებული ვარ, უმძიმესი მატჩი გველის, მაგრამ პირველ შეხვედრაში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას ალბათ შევძლებთ".

„მანჩესტერმა" ამ უქმეებზე სტუმრად „ლივერპულს" 1:0 მოუგო და ეს იყო მათი მეცხრე გამარჯვება ბოლო ათ თამაშში. გარდა ამისა, ჩემპიონთა ლიგის ბოლო 27 საშინაო მატჩიდან, მხოლოდ ერთი წააგეს.

„ლილმა" კი საფრანგეთის ჩემპიონატში წაგებათა სამმატჩიანი სერია „ტრუასთან" 4:0 გამარჯვებით შეწყვიტა. ფრანგებს „ოლდ ტრაფორდზე" ეყოლებათ ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელი კადერ კეიტა, რომელმაც პირველი თამაში დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. მწვრთნელმა „ტრუასთან" კეიტა და ობრანიაკი მხოლოდ თითო ტაიმი ათამაშა. ნახევარმცველი მეთიუ ბოდმერი კი ვერ ითამაშებს...

„ჩვენ შევეცდებით, გავიხსენოთ, თუ როგორ მოგვიგო „მანჩესტერმა", როგორ მოვუგეთ „ტრუას" და სათანადო განწყობას შევიქმნით. მანჩესტერიდან თავაწეულები უნდა დავბრუნდეთ" — განაცხადა კლოდ პუელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**


კლოდ პუელის „ლილი" არა და არ ცხრება

AFP




**იცით,** რას შიშობს არგენტინელი ვარსკვლავი ერნან კრესპო? იმას, რომ მომავალ სეზონში ისევ ინგლისში დააბრუნებენ, მას კი იტალიაში სურს თამაში.

ფორვარდი, მოგეხსენებათ, „ჩელსის" საკუთრებაა, რომელიც ლონდონელებმა ორი წლით მილანის „ინტერს" მიაქირავეს. ამჟამად, ამ ვადის დაახლოებით ნახევარია გასული.

მიმდინარე სეზონში კრესპომ სერია A-ში 12 გოლი გაიტანა. ერთი სიტყვით, მისი იტალიური ცხოვრება საუცხოოდ მიდის, მაგრამ ვაი, რომ არგენტინელის ასეთ აღზევებას ლონდონელებიც დაკვირვებით ადევნებენ თვალს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ზაფხულში თავიანთ 16,8-მილიონიან შენაძენს ახალ, მდიდრულ კონტრაქტს შესთავაზებენ.

31 წლის ვარსკვლავის აგენტმა ფერნანდო იდალგომ განაცხადა:

„უკვე ჩანს, რომ „ჩელსი" კრესპოს ლონდონში დაბრუნებას გეგმავს და ამის წინააღმდეგ ჩვენ ვერაფერს გავხდებით, რადგან ლონდონის გუნდი მისი მესაკუთრეა".

კრესპოს „ჩელსისთან" 2008 წლამდე აქვს კონტრაქტი, რომლის თანახმადაც არგენტინელის ხელფასი კვირაში 90 ათასი გირვანქაა. ამ ხელშეკრულებას არგენტინელმა 2003 წელს მოაწერა ხელი.

თუმცა, მეორე მხრივ, სჭირდებათ კი ლონდონელებს ამდენი თავდამსხმელი? უკრაინელმა ვარსკვლავმა ანდრეი შევჩენკომ ხომ, როგორც იქნა, განაცხადა, რომ ბოლოს და ბოლოს, „ჩელსიში" თავს ისე გრძნობს, როგორც შინ.

„ჩემი სათამაშო სტილის შეცვლა მომიხდა და საბოლოოდ ინგლისურ ფეხბურთს შევეწყვე. შეგუების პერიოდი უკვე განვლილია" — განაცხადა 30 წლის ფორვარდმა.

და ერთიც: ამბობენ, თუ „ინტერი" არგენტინელი ფორვარდის შენარჩუნებას ვერ შეძლებს, „კალიარის" ჰონდურასელი ლიდერის დავიდ სუაზოს ხელში ჩაგდებას ეცდებაო...

**პაპუნა ძიძია**

# ვინ მოიწყვეტს იას?
## ფიორენტინა ტონის ელევა



**იტალიური** „ფიორენტინას" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ზაფხულში, შესაძლოა, იფიქროს კიდეც გუნდის მთავარმეგოლე ლუკა ტონის გაყიდვაზე.

მოგეხსენებათ, ვეტერან ფორვარდს, „იუვენტუსის" თამადობით, რამდენიმე მსურველი ჰყავს.

„ვიჩენცას", „ბრეშასა" და „პალერმოს" ყოფილ ვარსკლავს შარშან ზაფხულსაც სურდა რომელიმე გრანდში გადასვლა, რათა ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალება მისცემოდა, მაგრამ „იებმა" არსად გაუშვეს.

„ტონის ჩვენთან კონტრაქტი აქვს და ჯერ ჩვენი ფეხბურთელია. ზაფხულში დავსხდებით და მოვილაპარაკებთ. გადაწყვეტილებასაც ერთად მივიღებთ. თუ ლუკა წასვლას ისურვებს, ამ ვარიანტსაც განვიხილავთ" — თქვა „ფიორენტინას" სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ.

**კოკი კანდელაკი**

# რიბერის იარაღი დაუმიზნეს
## არსენალმა შეჯიბრი დაიწყო



**ბრიტანული** პრესა გვამცნობს, რომ ლონდონის „არსენალი" ყველანაირად ეცდება, „მარსელის" ვარსკვლავ ფრანკ რიბერისთვის ბრძოლაში მადრიდის „რეალს" აჯობოს და ფრანგებს უკეთესი წინადადება შესთავაზოს.

ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრწყინვალე თამაშის შემდეგ რიბერის ბევრი მსურველი გამოუჩნდა, მაგრამ, როგორც „მარსელის" ხელმძღვანელობა აცხადებს, მას, სულ მცირე, ერთ სეზონს მაინც არსად გაუშვებენ.

შემტევი ნახევარმცველის შეძენის სურვილი, „არსენალისა" და „რეალის" გარდა, მიუნხენის „ბაიერნმაც" გამოთქვა. ამბობენ, „მარსელის" შეფები რიბერის სანაცვლოდ 22-23 მილიონ ევროს ელიანო.

„არსენალი" კი კიდევ ერთი ფრანგი ფეხბურთელით, ანრი სავიეთი დაინტერესდა. „ბორდოს" ნიჭიერ და პერსპექტიულ მოთამაშეს უკვე ახალი თეო უოლკოტიც შეარქვეს. „დეილი მირორის" ცნობით, ჟირონდელები მასში 2 მილიონ გირვანქას ითხოვენ.

„მეთოფეებს" სავიეში თანაქალაქელი „ტოტენჰემი" ეცილება...

**კოკი კანდელაკი**

# სადაა ჩემი ოქრო?

**მოსკოვის** ცსკა-ს ფორვარდმა ვაგნერ ლავმა „სპარტაკთან" მოგებული სუპერთასის მედალი დაკარგა.

ბრაზილიელმა თანაგუნდელებთან ერთად საპატიო წრე რომ დაარტყა, ჯილდოც მაშინ ჩამოუვარდა და მხოლოდ გასახდელში შენიშნა უმედლო მკერდი. სტადიონი გადაქექეს, მაგრამ მოოქროვილი ჯილდო ვერ იპოვეს, ორგანიზატორებს კი სათადარიგო არ აღმოაჩნდათ.

საინტერესოა, რომ ბერეზუცკის და გორელოვს გასახდელისკენ მიმავალთ ჩამოსწყდათ მედლები, თუმცა მალევე მიაგნეს.

# მუზეუმიდან თასი გაიპარა

**„მარსელის"** მუზეუმიდან ჩემპიონთა თასი მოიპარეს. ეს ამბავი ფრანგულმა „ეკიპმა" გაავრცელა. მუზეუმების პერსონალმა გუშინ დილით აღმოაჩინა, რომ თასი ადგილზე აღარაა, არადა, შენობის არც ერთი კარი გატეხილი არ იყო.

ჯილდო „მარსელმა" 1993 წელს მოიგო, როცა ფინალში იტალიური „მილანი" 1:0 დაამარცხა.

# ჰერვაგენი ამაღლდა

**გერმანული** „უნტერჰახინგის" მეკარე ფილიპ ჰერვაგენი მომავალი სეზონიდან „ბოხუმში" ითამაშებს. 23 წლის მეკარემ ბუნდესლიგურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ჰერვაგენმა ადრეულ ასაკშივე მოიპოვა ადგილი ძირითად შემადგენლობაში, რაც მის ნიჭზე მიუთითებს. უკვე დიდი ხანია, ვაკვირდებით და დავრწმუნდით, რომ უფრო მაღალ დონეზეც შეუძლია თამაში" — თქვა „ბოხუმის" წარმომადგენელმა.

ფილიპ ჰერვაგენი 2001-ში მივიდა „უნტერჰახინგში" და 112 მატჩი გამართა მეორე ბუნდესლიგაში.

# ბოლი ციხით დასრულდა

**„ლიონის"** ფანი, რომელმაც „სენტ ეტიენთან" მატჩში სტადიონზე პეტარდა ისროლა, დააკავეს და ორი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ეს მატჩი ამ უქმეებზე სენტ ეტიენში შედგა და სტუმრებმა 3:1 მოიგეს. მეორე ტაიმში მოედანზე გადაგდებულმა პეტარდამ იქაურობა დააბოლა და თამაში 20 წუთით შეწყდა.

გარდა ამისა, ვაი-ქომაგს ექვსი თვით სტადიონზე შესვლაც აუკრძალეს, რადგან ადრეც იყო შემჩნეული ხულიგნობაში.

# ბორეს იტალ-ია შესთავაზეს

**ბელგიური** მედიის ცნობით, „ფიორენტინა" „ანდერლეხტის" მცველ ენტონი ვანდენბორეს ყიდვას აპირებს. ფლორენციელებმა 19 წლის ფეხბურთელს სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს, ხოლო „ანდერლეხტს" — 3 მილიონი ევრო.

შევახსენებთ, რომ „იებმა" უკვე იყიდეს „არსენალის" იტალიელი ფორვარდი არტურო ლუპოლი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კასანო სიყვარულში გადავარდა
## ანტონიოს 500-მდე თვლა სცოდნია

**მადრიდის** „რეალის" ჭირვეულ იტალიელ თავდამსხმელ ანტონიო კასანოს ახალი სიყვარული ეწვია და ესპანელი ჟურნალისტების ცნობით, სწორედ ამის გამო ვერ თამაშობს კარგად.

24 წლის კასანოს, არცთუ ისე დიდი ხანია, ექვსი წლით უფროსი თანამემამულე მიშელ ჰუნციკერი შეუყვარდა.

ცნობილი იტალიელი პოპ-მომღერლის, ეროს რამაზოტის ყოფილმა მეგობარმა გოგონამ რეალელ ვარსკვლავს თავბრუ დაახვია და მადრიდულ პრესას თუ ვენდობით, ბოლო დღეებია, ანტონიო ისეთი დაბნეულია, თავის თავს არ ჰგავს.

ახლახან კასანომ მომღერალ შეყვარებულს 500 წითელი ვარდი გაუგზავნა და თან პატარა წერილიც მისწერა: „მე შენი ფანი ვარ! ა. კ.".

**ნინო სილაგაძე**





# ვუნდერკინდი კოლო კოლოდან

**რუსული** მედიის ცნობით, მოსკოვის „სპარტაკი" „კოლო კოლოს" 18 წლის ფორვარდ ალექსის სანჩესის ყიდვას აპირებს. სანჩესს სამშობლოში ვუნდერკინდს ეძახიან და 7 მილიონ ევროდაა შეფასებული.

რომან პავლიუჩენკოს ტრავმის გამო სპარტაკელებმა თავდამსხმელის ძებნა დაიწყეს და ჩილელს მიადგნენ, რომელიც სამხრეთ ამერიკის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე „აღმოაჩინეს." სანჩესი „კოლო კოლოს" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია და მისი დებიუტი ორი წლის წინ შედგა. აღსანიშნავია, რომ ფორვარდი იტალიურ „უდინეზეს" ეკუთვნის, რომელმაც იგი „კობრელოასგან" შეიძინა და შემდეგ „კოლო კოლოს" ათხოვა. „სპარტაკიც" სწორედ „უდინეზესთან" აწარმოებს მოლაპარაკებას და, როგორც ამბობენ გარიგება მალე შედგება.

**ვაჟა ხუციშვილი**

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXIX ტური**

**მოზერუელი 0:2 ჰართსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 29 | 23 | 5 | 1 | 57:22 | 74 |
| რეინჯერსი | 29 | 16 | 7 | 6 | 48:24 | 55 |
| აბერდინი | 28 | 14 | 6 | 8 | 39:25 | 48 |
| ჰართსი | 29 | 13 | 9 | 7 | 38:25 | 48 |
| ჰიბერნიანი | 29 | 11 | 7 | 11 | 46:34 | 40 |
| კილმარნოკი | 29 | 11 | 7 | 11 | 38:44 | 40 |
| ინვერნესი | 29 | 8 | 10 | 11 | 31:37 | 34 |
| ფოლკირკი | 29 | 10 | 3 | 16 | 36:39 | 33 |
| მოზერუელი | 28 | 9 | 5 | 14 | 32:44 | 32 |
| დანდი იუნ. | 29 | 8 | 8 | 13 | 29:49 | 32 |
| სენტ მირენი | 29 | 5 | 10 | 14 | 23:43 | 25 |
| დანფერმლაინი | 29 | 3 | 7 | 19 | 15:46 | 16 |

# მარადონას ცხვირიდან ძმარი ადინეს



დიეგო მარადონამ შუბლი გაიკაწრა და ცხვირი გაიტეხა — წერს „კალჩომერკატო“.

ბუენოს-აირესის ღამის კლუბში ქეიფი გაიმართა, სადაც მარადონა მიიწვიეს. მავან ფოტოგრაფს მისი გადაღება უნდოდა, მაგრამ პირადმა მცველმა არ მიუშვა და ატყდა ხელების ქნევა, რომელშიც დიეგოც ჩაერია. შედეგად შუბლი და ცხვირი დაიზიანა, მაგრამ კლუბიდან არ წასულა და ტაშ-ფანდურა გააგრძელა.

# სახალხო მარსელი

ცნობილმა ფრანგულმა გამოცემამ „ფრანს ფუტბოლმა“ ქომაგებს შორის საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა, რომელმაც ცხადყო, რომ საფრანგეთში ახლა ყველაზე მეტი ქომაგი „მარსელს“ ჰყავს. „ველოდრომის“ ბინადრებმა ხმების 17,2 პროცენტი მიიღეს.

12,5 პროცენტით მეორეზე ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი და ჩემპიონატის მიჯრით ხუთჯერ მომგები „ლიონი“ გავიდა. დედაქალაქურ პსჟ-ს 4,6 პროცენტით მესამე ადგილი ხვდა წილად. საფრანგეთის მასშტაბით ყველაზე წარმატებული კლუბი „სენტ ეტიენი“ კი 2,6 პროცენტით მხოლოდ მეექვსე ადგილზე გავიდა.

ქომაგების აზრით, ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს „ლიონი“ თამაშობს, ხოლო ყველაზე პოპულარულ უცხოურ გუნდად, მიუხედავად ბოლო წლებში წარუმატებელი თამაშისა, კვლავ მადრიდის „რეალი“ რჩება.

ქოქი ქანდელაკი

# როდის გახდება სოლტ ლეიკერსი მადრიდი?

## ამერიკელი ვუნდერკინდის აზრით, ამერიკას ბევრი ვუნდერკინდი ჰყავს



ამერიკელი ვუნდერკინდი ფრედი ადუ თავის ახალ კლუბ „რეალ სოლტ ლეიკერსთან“ ერთად ესპანეთშია, სადაც მის კლუბს რამდენიმე ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი, მათ შორის, „რეალისა“ და „რეალ კასტილიას“ შერეულ გუნდთან.
ახალგაზრდა და ნიჭიერ შემტევ ნახევარმცველს მადრიდული გრანდის ვებგვერდი ესაუბრა...

— კმაყოფილი ხართ მადრიდში დაბრუნებით?

— ძალიან. არცთუ ბევრ ადამიანს ეძლევა ორ წელიწადში ორჯერ ესპანეთში მოხვედრის შანსი და ამით გახარებული ვარ.

— თქვენი წინა ჩამოსვლის მერე ბევრი რამ შეიცვალა — მაშინ „დისი იუნაიტედში“ თამაშობდით. ახალი კლუბით კმაყოფილი ხართ?

— ასეთი ბედნიერი ჯერ არ ვყოფილვარ. შეიძლება, ხალხს ზუსტად არ ესმის, მაგრამ ეს სწორედ ის არის, რაც მინდოდა. მე შემტევი ნახევარმცველი ვარ, დაახლოებით მეათე ნომრის სტილით მოთამაშე და ჩემს საყვარელ პოზიციაზე მინდა თამაში, ახალ კლუბში კი ამის საშუალება მომეცა. მწვრთნელთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. ორი კვირა „მანჩესტერ იუნაიტედში“ ვისინჯებოდი, მაგრამ მერე „რეალ სოლტ ლეიკში“ გადასვლა გადაწყდა.

— თქვენ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხართ და უკვე ბევრს მიაღწიეთ — ამერიკაში ვუნდერკინდად ითვლებით, რომლის მაგალითზეც ბავშვები უნდა აღიზარდნონ. ზეწოლას ისევ გრძნობთ?

— უკვე აღარ. ჩვენ ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს, რამდენიმე ევროპაშიც თამაშობს. გამოჩნდნენ ახალგაზრდებიც — კლინტ დემასი, ბობი კონვი, ედი ჯონსონი... ხალხმა დაინახა, რომ თამაში მათაც შეუძლიათ, თან კარგადაც. ეს პირადად ჩემთვისაც კარგია, რადგან მუდამ ყურადღების ცენტრში აღარ ვარ და მშვიდად შემიძლია, საკუთარ თამაშზე კონცენტრირება მოვახდინო. როგორც ვთქვი, ასეთი ბედნიერი ჯერ არ ვყოფილვარ და ვცდილობ, კლასი ავიმაღლო.

— ამერიკაში ფეხბურთი უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ამბობენ, 16 წლამდე ბავშვების უმეტესობა „სოკერს“ თამაშობსო, თუმც ფეხბურთი სათანადოდ კომერციული მაინც ვერ არის, რატომ?

— მთლად ასეც არ არის. ამერიკაში ფეხბურთის საქმე ყოველმხრივ უმჯობესდება, თუმცა სასწავლი და გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მწვრთნელებმა კლასი უნდა აიმაღლონ, ხოლო ბავშვებმა მხოლოდ გასართობად არ ითამაშონ, ამისგან სიამოვნება მიიღონ და საქმეს სერიოზულად მოეკიდონ.

— როგორ ფიქრობთ, ამერიკაში ფეხბურთი ბევრად უფრო პოპულარული გახდება?

— ამის ყველა წინაპირობა არსებობს. ტელევიზიებიც უკვე მეტ დაინტერესებას იჩენენ და, ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად უნდა მიდიოდეს.

— ესპანეთში რამდენიმე ამხანაგური მატჩი უნდა ჩაატაროთ...

— რა თქმა უნდა. განსაკუთრებით „რეალთან“ მატჩს. მერე რა, რომ ძირითად გუნდს არ ვხვდებით. მე ახალგაზრდა ვარ და საინტერესო იქნება დაახლოებით ჩემი ასაკის ფეხბურთელებთან შეჯიბრი, რომლებიც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში თამაშობენ. კარგ გამოცდილებასაც მივიღებ და გავერთობი კიდეც.

— წინა ჩამოსვლისას თქვით, რომ მადრიდის „რეალში“ თამაშზე ოცნებობთ. ისევ ამ აზრზე ხართ?

— ოცნება ძალაშია და არცთუ მიუღწეველიცაა — „რეალ სოლტ ლეიკში“ უკვე ვთამაშობ და ვინ იცის, იქნებ, ერთხელ „სოლტ ლეიკი“ მადრიდით შეიცვალოს. ვნახოთ, რა მოხდება...

# ესპანიოლს ფეხბურთელი უცნაურად აუორთქლდა



„გაოცებული ვარ. ასეთი უცნაური საქციელის არ მესმის“ — თქვა ვალვერდემ.

კატალონიური „ესპანიოლის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ჯონატას დომინგესი დაიკარგა.

გუნდი უეფას თასზე ისრაელურ „მაკაბისთან“ მატჩისთვის ემზადება და მოულოდნელად, გუშინწინდელ ვარჯიშზე დომინგესი არ გამოცხადდა.

როგორც გაირკვა, ბრაზილიელს არავითარი ახსნა-განმარტება არ მიუცია არავისთვის და კარგა ხანს ვერც ის გაარკვიეს, სად იყო ფეხბურთელი.

„გაუგონარი ამბავია. ფეხბურთელი მოულოდნელად აორთქლდა და მისი ადგილსამყოფელის გაგება ახლახა მოვახერხეთ: ბრაზილიაში ჩასულა“ — განაცხადა „ესპანიოლის“ თავკაცმა ერნესტო ვალვერდემ.

მისივე თქმით, დომინგესი „მაკაბისთან“ არ ითამაშებს და საერთოდაც, მას გვარიანი ჯარიმა ელის.

ქახა შალამბერიძე

## სამუელის სამეული

THE PEOPLE-ს ვარაუდით, სამუელ ეტოო „ბარსელონადან“ თუ წავა, ალბათ უფრო „მანჩესტერ იუნაიტედში“, ვიდრე „ჩელსიში“ ან „არსენალში“.

კამერუნელი ფორვარის წასვლა-დარჩენის საკითხი ამჟამად სპორტული მედიის მთავარი თემაა, ფეხბურთელი კი ჯერჯერობით ახალს არაფერს ამბობს.

## ვუდგეიტი ირჩევს ლიგას

„ნიუს ოფ ზე ვორლდი“ წერს, რომ ჯონათან ვუდგეიტის შეძენით „ჩელსიც“ დაინტერესდა. ინგლისელი მცველი მადრიდის „რეალს“ ეკუთვნის და „მიდლსბროშია“ განათხოვრებული.

27 წლის ფეხბურთელის გადაბირება „ნიუკასლს“ და „პორტსმუთსაც“ უნდათ, მაგრამ თვითონ იმ კლუბში ურჩევნია თამაში, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში იქნება. ასეთი კი სწორედ „ჩელსია“.

## მარცხენა მორტენი

„ლივერპულს“ ბლექბერნელი მორტენ გამსტ პედერსენის გადაბირება უნდა. რაფაელ ბენიტესს მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე მაღალი კლასის ფეხბურთელი სჭირდება და ნორვეგიელი პედერსენი ამოუღია მიზანში — მარკ გონსალესი ჯერჯერობით ვერ ამართლებს იმედებს, ჰარი კიუელი კი ტრავმირებულია.

25 წლის ნორვეგიელის შეძენით „ტოტენჰემიც“ არის დაინტერესებული.

## შენი გადახდილია

კრეიგ ბელამიმ საქველმოქმედოდ გვარიანი თანხა დახარჯა და კლუბისგან 80 ათას გირვანქიანი ჯარიმა აიცილა.

შეგახსენებთ, რომ უელსელმა „ბარსელონასთან“ პირველი მერვედფინალური მატჩის წინ, პორტუგალიურ შეკრებაზე თანაგუნდელ იონ არნე რიისეს ფეხებში გოლფის ყვანჯი ურტყა. ამის გამო „ლივერპული“ მის დაჯარიმებას აპირებდა, მაგრამ უელსელმა „კამპ ნოუზე“ გატანილი გოლითა და ქველმოქმედებაში დახარჯული ფულით ბოდიში მოიხადა.

## ურბი სწრაფად დარბის

ბრემენის „ვერდერი“ აიაქსელი ურბი ემანუელსონის შეძენას აპირებს. ჰოლანდიის ნაკრების და ამსტერდამული კლუბის 20 წლის მცველი სწრაფი და ტექნიკურია. მისი კონტრაქტი კლუბთან 2011 წელს იწურება, ბრემენელებს კი იგი პიერ ვომეს შემცვლელად შეუგულებიათ, ვინც „ვერდერიდან“ წასვლას გეგმავს.

## ჟუანი რომის გზაზე

„ლევერკუზენის“ ბრაზილიელი მცველი ჟუანი ამ ზაფხულს გუნდიდან აბარგებას აპირებს მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს.

ეს უკვე მეორე ფეხბურთელია, რომელიც „ლევერკუზენიდან“ წავა — უკრაინელმა ანდრეი ვორონინმა ამას წინათ „ლივერპულთან“ გააფორმა წინასწარი ხელშეკრულება და მომავალი სეზონიდან პრემიერლიგაში ითამაშებს.

„ჟუანს დარჩენა აღარ უნდა და არც ვაძალებთ — თქვა კლუბის სპორტულმა დირექტორმა რუდი ფიოლერმა — ის ალბათ „რომაში“ ან სხვა იტალიურ კლუბში გადავა.“

ვაჟა ხუციშვილი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. ჩემპიონატი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 5 | ბირმინგემი-დერბი | 2.05 | 3.20 | 3.45 | 1.24 | 1.28 | 1.66 |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 7 | კრ. პალასი-ლესტერი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 19:00 | 8 | კარდიფი-ნორვიჩი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 19:00 | 9 | კოლჩესტერი-ქოვენთრი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 19:00 | 10 | ჰალი-პრესტონი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 19:00 | 11 | იფსვიჩი-საუთენდი | 1.90 | 3.30 | 3.85 | 1.20 | 1.27 | 1.77 |
| 19:00 | 12 | ლიდსი-ლუტონი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 13 | ქპრ-უენსდი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 14 | სტოკი-საუთჰემპტონი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 15 | ბარნსლი-სანდერლენდი | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 16:00 | 16 | ვულვზი-ვესტ ბრომვიჩი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |

### ინგლისი. I ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 20 | ჩესტერფილდი-ბრისტოლი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 16:00 | 21 | ჰადერსფილდი-ბრედფორდი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 22 | მილუოლი-კარლაილი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 23 | ნორთჰემპტონი-ბორნმუთი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 24 | როტერჰემი-პორტ ვეილი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 25 | სკანთორპი-ნოტინგემი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 26 | ტრანმერი-სუონსი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 27 | ბლეკპული-ბრაიტონი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 19:00 | 28 | ბრისტოლი-ბრენტფორდი | 1.45 | 3.90 | 7.00 | 1.05 | 1.20 | 2.50 |
| 19:00 | 29 | ჩელტენემი-იოვილი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 30 | ჩესტერფილდი-ლეიტონი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 31 | ჯილინგემი-ქრიუ | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 32 | ოლდემი-დონკასტერი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |

### ინგლისი. II ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 34 | ჰარტლპული-ლინკოლნი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 23:45 | 35 | რექსემი-ბერი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 36 | ჰერეფორდი-გრიმსბი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 37 | მაკლსფილდი-შრიუსბერი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 38 | ნოტსი-მენსფილდი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 39 | პიტერბრო-დონსი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 40 | როჩდეილი-დარლინგტონი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 41 | სუინდონი-ბრინგტონი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 19:00 | 42 | ტორკი-უიკომბი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 19:00 | 43 | უოლსოლი-ჩესტერი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 19:00 | 44 | ბარნეტი-სტოკპორტი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 19:00 | 45 | ბოსტონი-როვერსი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 69 | აბერდინი-ჰართსი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 70 | დანდი იუნ.-მოზერუელი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 71 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 72 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 19:00 | 73 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.85 | 3.40 | 3.75 | 1.19 | 1.23 | 1.78 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 74 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.85 | 3.20 | 3.95 | 1.17 | 1.25 | 1.76 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 573 | არბროთი-ელგინი | 1.35 | 4.50 | 6.50 | 1.03 | 1.11 | 2.65 |
| 23:45 | 574 | ბერიკი-დამბარტონი | 1.80 | 3.50 | 3.70 | 1.18 | 1.21 | 1.79 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 90 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 1.85 | 3.30 | 4.20 | 1.18 | 1.28 | 1.84 |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 18:30 | 91 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 18:30 | 93 | ბოხუმი-დორტმუნდი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 18:30 | 94 | კოტბუსი -ალემანია | 2.15 | 3.20 | 3.15 | 1.28 | 1.27 | 1.58 |
| 18:30 | 95 | ჰანოვერი-შალკე | 2.85 | 3.20 | 2.30 | 1.50 | 1.27 | 1.33 |
| 18:30 | 97 | მაინცი-არმინია | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 18:30 | 98 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 99 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 100 | ბაიერნი-ვერდერი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 მარტი | | | | | | |
| 18:30 | 111 | ჰერტა(მ)-ვილჰელმშავენი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 20:45 | 135 | ბაზელი-შაფჰაუზენი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 20:45 | 136 | თუნი-სტ.გალენი | 3.30 | 3.30 | 2.00 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| 20:45 | 137 | ციურიხი-აარაუ | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 138 | ლუცერნი-იანგ ბოიზი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 139 | სიონი-გრასჰოპერი | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |

### იტალია. სერია A

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 149 | სიენა-ასკოლი | 1.75 | 3.00 | 5.30 | 1.10 | 1.31 | 1.91 |
| 23:30 | 150 | ტორინო-კატანია | 2.30 | 2.90 | 3.25 | 1.28 | 1.34 | 1.53 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 151 | პალერმო-ფიორენტინა | 3.00 | 2.90 | 2.45 | 1.47 | 1.34 | 1.32 |
| 18:00 | 152 | რეჯინა-ლაციო | 2.45 | 3.00 | 2.85 | 1.34 | 1.31 | 1.46 |
| 18:00 | 154 | რომა-უდინეზე | 1.55 | 3.50 | 6.20 | 1.07 | 1.24 | 2.23 |
| 18:00 | 156 | სამპდორია-კალიარი | 1.85 | 3.00 | 4.70 | 1.14 | 1.32 | 1.83 |
| 18:00 | 157 | ატალანტა-პარმა | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 18:00 | 158 | კიევო-მესინა | 1.80 | 2.90 | 5.30 | 1.11 | 1.34 | 1.87 |
| 18:00 | 159 | ემპოლი-ლივორნო | 1.90 | 2.90 | 4.55 | 1.14 | 1.34 | 1.77 |
| 23:30 | 160 | ინტერი-მილანი | 2.25 | 3.00 | 3.15 | 1.28 | 1.31 | 1.53 |

### იტალია. სერია B

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 163 | ბოლონია-ბარი | 1.50 | 3.20 | 8.00 | 1.02 | 1.26 | 2.28 |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 162 | პესკარა-მოდენა | 2.20 | 2.80 | 3.40 | 1.23 | 1.33 | 1.53 |
| 19:00 | 164 | ბრეშა-იუვენტუსი | 8.50 | 3.40 | 1.45 | 2.42 | 1.23 | 1.01 |
| 19:00 | 165 | კროტონე-ვერონა | 2.15 | 2.80 | 3.55 | 1.21 | 1.33 | 1.56 |
| 19:00 | 166 | ლეჩე-ფროზინონე | 2.00 | 2.70 | 4.10 | 1.14 | 1.34 | 1.62 |
| 19:00 | 167 | პიაჩენცა-ტრევიზო | 1.85 | 2.90 | 4.50 | 1.12 | 1.31 | 1.76 |
| 19:00 | 168 | რიმინი-ნაპოლი | 2.70 | 2.70 | 2.70 | 1.35 | 1.35 | 1.35 |
| 19:00 | 169 | სპეცია-ალბინოლეფე | 2.40 | 2.60 | 3.20 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| 19:00 | 170 | ტრიესტინა-ჩეზენა | 2.30 | 2.70 | 3.10 | 1.24 | 1.32 | 1.44 |
| 19:00 | 171 | ვიჩენცა-მანტოვა | 2.35 | 2.60 | 3.40 | 1.23 | 1.38 | 1.47 |
| 19:00 | 172 | არეცო-ჯენოა | 3.00 | 2.70 | 2.45 | 1.42 | 1.34 | 1.28 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 191 | ბარსელონა-რეალი | 1.90 | 3.20 | 3.85 | 1.19 | 1.27 | 1.74 |
| 23:00 | 197 | ლევანტე-ვილიარეალი | 2.50 | 2.90 | 2.90 | 1.34 | 1.34 | 1.45 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 190 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 192 | ბეტისი-სარაგოსა | 2.40 | 3.10 | 2.90 | 1.35 | 1.31 | 1.49 |
| 20:00 | 193 | სელტა-ბილბაო | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 20:00 | 194 | ხეტაფე-უელვა | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 20:00 | 195 | ტარაგონა-სევილია | 5.10 | 3.50 | 1.60 | 2.07 | 1.21 | 1.09 |
| 23:45 | 198 | ოსასუნა-ვალენსია | 3.20 | 3.10 | 2.20 | 1.57 | 1.30 | 1.28 |
| 20:00 | 199 | რასინგი-ესპანიოლი | 2.15 | 3.20 | 3.25 | 1.28 | 1.29 | 1.61 |
| 20:00 | 200 | სოსიედადი-მალიორკა | 2.45 | 2.90 | 2.90 | 1.32 | 1.32 | 1.45 |

საფრანგეთი. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 212 | ბორდო-სოშო | 1.95 | 2.90 | 4.20 | 1.16 | 1.33 | 1.71 |
| 23:00 | 213 | ლე მანი-სტ.ეტიენი | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 23:00 | 216 | ლორიანი-ლილი | 2.65 | 2.90 | 2.70 | 1.38 | 1.33 | 1.39 |
| 23:00 | 219 | ნანტი-ნანსი | 2.20 | 2.80 | 3.60 | 1.23 | 1.36 | 1.57 |
| 23:00 | 220 | ნიცა-რენი | 2.25 | 2.90 | 3.35 | 1.26 | 1.34 | 1.55 |
| 23:00 | 221 | პსჟ-ოსერი | 2.10 | 3.00 | 3.55 | 1.23 | 1.31 | 1.62 |
| 20:10 | 222 | ტულუზი-მონაკო | 2.20 | 2.90 | 3.35 | 1.25 | 1.32 | 1.55 |
| 23:00 | 224 | ტრუა-ვალენსიენი | 2.00 | 2.90 | 4.10 | 1.18 | 1.34 | 1.69 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 214 | ლანსი-სედანი | 1.50 | 3.50 | 7.20 | 1.04 | 1.24 | 2.35 |

დანია. სუპერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 344 | მიდტიულანდი-ვეილე | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 340 | ოლბორგი-ვიბორგი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 21:00 | 341 | ბრიონდბიუ-ნორდსიელანდი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 18:00 | 342 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 4.20 | 3.50 | 1.75 | 1.90 | 1.23 | 1.16 |
| 18:00 | 343 | ჰორსენსი-სილკებორგი | 2.25 | -3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 18:00 | 345 | ოდენსე-რანდერსი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

ჩემპიონთა ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 394 | მილანი-სელტიკი | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| 23:45 | 395 | ბაიერნი-რეალი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 23:45 | 396 | მანჩესტერი-ლილი | 1.35 | 4.20 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.86 |
| 23:45 | 397 | არსენალი-პსვ | 1.45 | 3.70 | 7.50 | 1.04 | 1.21 | 2.47 |

უეფას თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 398 | ნიუკასლი-ალკმაარი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 22:45 | 399 | მაკაბი ჰ-ესპანიოლი | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| 23:45 | 400 | რეინჯერსი-ოსასუნა | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 401 | ბრაგა-ტოტენჰემი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 23:45 | 402 | სევილია-შახტარი | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 22:00 | 403 | ლანსი-ლევერკუზენი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 23:45 | 404 | პსჟ-ბენფიკა | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 405 | სელტა-ვერდერი | 2.85 | 3.20 | 2.35 | 1.50 | 1.26 | 1.35 |

ინგლისი. FA Cup

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 21:30 | 575 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 4.50 | 3.40 | 1.75 | 1.93 | 1.25 | 1.15 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 16:45 | 576 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.40 | 4.10 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.58 |
| 20:00 | 577 | ბლექბერნი-სიტი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 21:00 | 578 | პლიმუთი-უოტფორდი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |

რუსეთი. თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 მარტი | | | | | | |
| 15:00 | 415 | რუბინი-როსტოვი | 1.90 | 3.10 | 3.80 | 1.17 | 1.26 | 1.70 |
| 16:00 | 416 | დინამო ბრ.-ტორპედო მ | 2.95 | 3.10 | 2.20 | 1.51 | 1.26 | 1.28 |

როიალ ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 687 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:55 | 688 | კოპენჰაგენი-ჰელსინგბორგი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |

ლიბერტადორესის თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 427 | კუკტო-კოლო კოლო | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |
| 23:45 | 430 | დეპ.ტოლიმა-სერო პ | 1.60 | 3.30 | 4.80 | 1.07 | 1.20 | 1.95 |
| 23:45 | 431 | ამერიკა-ბანფილდი | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| 23:45 | 579 | რივერ პლეიტი-კარაკასი | 1.10 | 6.50 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.33 |
| | | 8 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 432 | სიენსიანო-ბოლივარი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |

კალათბურთი

ევროლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 მარტი | | | | | | |
| 21:45 | 675 | ოლიმპიაკოსი-პარტიზანი | 1.12 | 12.00 | 5.00 | 1.02 | 1.00 | 3.52 |
| 23:30 | 676 | ორტეზი-რომა | 1.55 | 12.00 | 2.20 | 1.37 | 1.00 | 1.88 |
| 23:45 | 677 | ხუვენტუდი-ცსკა | 3.40 | 12.00 | 1.25 | 2.64 | 1.00 | 1.13 |
| 23:45 | 678 | ტაუ-მაკაბი | 1.15 | 12.00 | 3.80 | 1.04 | 1.00 | 2.88 |
| | | 8 მარტი | | | | | | |
| 21:15 | 679 | დინამო-არისი | 1.10 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |
| 22:15 | 680 | ეფესი-პანათინაიკოსი | 2.50 | 12.00 | 1.50 | 2.06 | 1.00 | 1.33 |
| 21:00 | 681 | პროკომი-ბარსელონა | 2.50 | 12.00 | 1.35 | 2.06 | 1.00 | 1.21 |
| 23:45 | 682 | ბენეტონი-უნიკახა | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10394 | მილანი-სელტიკი | 1.65 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.90 |
| 10395 | ბაიერნი-რეალი | 2.55 | 2.00 | 4.05 | 1.12 | 1.56 | 1.33 |
| 10396 | მანჩესტერი-ლილი | 1.65 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.90 |
| 10397 | არსენალი-პსვ | 1.80 | 2.40 | 7.00 | 1.02 | 1.43 | 1.78 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11394 | მილანი-სელტიკი | 1.80 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11395 | ბაიერნი-რეალი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11397 | არსენალი-პსვ | 1.90 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.90 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15394 | მილანი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15395 | ბაიერნი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15396 | მანჩესტერი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15397 | არსენალი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16394 | მილანი-სელტიკი | 1.05 | 5.00 |
| 16395 | ბაიერნი-რეალი | 1.45 | 2.30 |
| 16396 | მანჩესტერი-ლილი | 1.05 | 5.00 |
| 16397 | არსენალი-პსვ | 1.12 | 4.50 |

### გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17394 | მილანი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17395 | ბაიერნი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17396 | მანჩესტერი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17397 | არსენალი-პსვ | 1.85 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნკ | მეტ |
|---|---|---|---|
| 12394 | მილანი-სელტიკი | 1.70 | 1.90 |
| 12395 | ბაიერნი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12396 | მანჩესტერი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 12397 | არსენალი-პსვ | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13394 | მილანი-სელტიკი | 1.90 | 1.70 |
| 13395 | ბაიერნი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13396 | მანჩესტერი-ლილი | 1.90 | 1.70 |
| 13397 | არსენალი-პსვ | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ვარიანტი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14394 | მილანი-სელტიკი | 1.08 | 2.90 |
| 14395 | ბაიერნი-რეალი | 1.70 | 2.20 |
| 14396 | მანჩესტერი-ლილი | 1.08 | 2.90 |
| 14397 | არსენალი-პსვ | 1.20 | 2.60 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18394 | მილანი-სელტიკი | 1.18 | 4.30 |
| 18395 | ბაიერნი-რეალი | 1.95 | 1.70 |
| 18396 | მანჩესტერი-ლილი | 1.02 | 10.00 |
| 18397 | არსენალი-პსვ | 1.70 | 2.00 |

### კუთხურების რაოდენობა (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 20395 | ბაიერნი-რეალი | 1.80 | 1.80 |
| 20396 | მანჩესტერი-ლილი | 1.65 | 1.90 |

### იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 21394 | მილანი-სელტიკი | 2.80 | 1.20 |
| 21395 | ბაიერნი-რეალი | 2.80 | 1.20 |
| 21396 | მანჩესტერი-ლილი | 2.80 | 1.20 |
| 21397 | არსენალი-პსვ | 2.80 | 1.20 |



დავით ბოლოშვილი ნაკრებში სამწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა

# საქართველო ესპანეთში ქარიშხლით ჩადის

17 მარტს საქართველოს ნაკრები ლამის თვენახევრიანი უქმობის შემდეგ დიდ რაგბის დაუბრუნდება და ერთა თასის პროგრამით მადრიდში ესპანეთის ნაკრებს ესტუმრება. შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა ტურნირის პირველი, მაგრამ ფინალის ტოლფასი მატჩი ბძლავრ რუმინეთს ბუქარესტში მოუგეს და საერთათასო ამქარს თავში ჩაუდგნენ

**საქართველოს** ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ის 22 კაცი დაასახელა, ესპანეთს რომ შეარკენს. აქვე ვთქვათ, რომ ტრავმების და მწვრთნელთა სტრატეგიული მოსაზრებების გამო ჩვენი „ლელოები“ მადრიდში ათი ძირითადი რაზმელის გარეშე და ერთობ ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩავლენ.

ნაკრებში დაბრუნდა 2001 წლის ერთა თასის მფლობელი და 2003 წლის მსოფლიოს თასზე ნათამაშები მორკინალი დავით ბოლოშვილი, ვინც კლოდ სორელის მწვრთნელობისას ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო, მაგრამ წინა მსოფლიოს თასის შემდგომ ეროვნულ გუნდში აღარ გამოჩენილა. ესპანელებთან ირაგბებს რუსეთის 13-კაცა ნაკრების წევრი ირაკლი ჩხიკვაძეც. „ქარიშხლად“ წოდებული ჩხიკვაძე ლეგენდარული ქართველი მორაგბის ნუგზარ ძაგნიძის სიძეა, სამი წლის წინ ჩილესთან გამართულ მატჩში კი მეტოქე ისე შებოჭა, რომ ერთკვირიანი ამნეზია დამართა და საქართველოს ფართო სარაგბო აუდიტორიასაც ასე გააცნო თავი.

ერთიც, ესპანეთთან მატჩის ერთი კვირის თავზე, 24 მარტს საქართველოს ნაკრები „ეროვნულზე“ რუსეთს მასპინძლობს და, როგორც ჩვენების მენეჯერმა ვასილ აბაშიძემ გვითხრა, შემადგენლობა ბევრად განსხვავებული, ანუ უფრო ოპტიმალური იქნება.

**ბაჩო სვანიძე**



ირაკლი ჩხიკვაძე

## საქართველო ესპანეთთან

შერკინება: გოდერძი შველიძე, დავით ხინჩაგაშვილი, ავთო კოპალიანი, დავით აშვეთია, რეზო ბელქანია, ილია ზედგინიძე, ვიქტორ დიდებულიძე, მამუკა მაგრაქველიძე, ილია მაისურაძე, ბესიკ უდესიანი, შალვა პაპაშვილი, დავით ბოლღაშვილი

უკანა ხაზი: ბიძინა სამხარაძე, გიორგი კაჭარავა, დავით კაჭარავა, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი გიორგაძე, გიორგი შკინინი, გიორგი ელიზბარაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე, ოთარ ელოშვილი, პალიკო ჯიმშელაძე



# თურმანიძე სააპრილოს აპრილში იტყვის



გასული უქმეები თავისუფალი სტილის მოჭიდავეებისთვის სხვებზე დატვირთული იყო. ნაკრების წევრები და კანდიდატები ორ ნაწილად გაიყვნენ და ერთმანეთის პარალელურად ორი საერთაშორისო ტურნირი მოიარეს. სტამბოლურმა შემადგენლობამ თბილისში ერთი ბრინჯაო ჩამოიტანა, ტაშკენტურმა კი — ერთი ოქრო, ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო. უზბეკეთში ჩატარებულ მსოფლიოს გრან პრიზე გუნდი საქართველოს ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ იახლა. ჩვენებურთათვის განსაკუთრებით საინტერესოდ მოვლენები 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში განვითარდა. ფინალში ორი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი — ლუკა კურტანიძე და გიორგი გოგშელიძე — გავიდა. ჩემპიონი რომ გოგშელიძე გახდა, გუშინდელ „სარბიელში“ გაცნობეთ. უფრო დაწვრილებით ამ შეხვედრის, მთლიანად ტურნირისა და აპრილის ბოლოს ბულგარეთში ჩასატარებელი ევროპირველობის სამზადისის შესახებ თბილისში დაბრუნებულ ნაკრების თავკაცს ზაზა თურმანიძეს გავესაუბრეთ

— 96 კილოგრამის ფინალი ჩვენთვის ხომ მნიშვნელოვანი იყო და საერთოდაც, მთელი ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ბრძოლაც გამოვიდა 84 კილოგრამის ფინალთან ერთად. სამწუხაროდ, იქ რევაზ მინდორაშვილმა ვერ მოიგო.

**— უფრო კონკრეტულად გოგშელიძე-კურტანიძის შეხვედრის შესახებ...**

— პირველი რაუნდი ფრედ დასრულდა და მონეტა გიორგის ფერზე დაჯდა. მანაც შანსი გამოიყენა, მეორე რაუნდი კი ძირითად დროში მოიგო. ეს ფინალი როგორც არ უნდა დამთავრებულიყო, მაინც ვიტყოდი, რომ ორივეს ჭიდაობით კმაყოფილი დავრჩი. მიხარია, რომ ამ წონაში ასეთი კონკურენციაა. ეს აშკარად უფრო მომგებიანია ნაკრებისთვის, ვიდრე კურტანიძისა და გოგშელიძის სხვადასხვა წონაში ყოფნა.

**— ტაშკენტამდე გოგშელიძემ საქართველოს ჩემპიონატიც მოიგო. მაშინ კურტანიძე მხოლოდ მესამეზე გავიდა. ახლაც გიორგიმ იმარჯვა. შეიძლება ითქვას, რომ ამით ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობა გაინაღდა?**

— ამას მაინც ვერ ვიტყვი ჯერ. ევროპამდე თვეზე მეტი დროა.

**— ამ პერიოდში საერთაშორისო ტურნირზე კიდევ გამოცდით?**

— მარტის ბოლოს მსოფლიოს თასი გველის და მასზე ბევრი რამ გაირკვევა. შიდა კონკურენციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აქედანვე ვიცით, რომ უძლიერესი შემადგენლობა მოიყრის თავს. მარტო ის რად ღირს, რომ ტურნირი კრასნოიარსკში გაიმართება და რუსეთი ორი გუნდით გამოვა.

**— ტაშკენტში ძლიერმა მოჭიდავეებმა მოიყარეს თავი?**

— მსოფლიოს გრან პრი უმაღლესი ტურნირია და მასზე ძლიერთა ნაკლებობა არასოდეს არ იგრძნობა. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონ-პრიზიორები ახლაც მრავლად იყვნენ. ამის გათვალისწინებით, ოთხი მოპოვებული მედლით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა კარგად იჭიდავეს.

**— ტაშკენტის პარალელურად საერთაშორისო ტურნირს სტამბოლმა უმასპინძლა. ერთი კვირით ადრე კი კიევმა. მათზე ნაკრების თითქმის ყველა წევრი და და კანდიდატი გამოიცადა, მაგრამ უზბეკური შემადგენლობა აშკარად საუკეთესო იყო. ევროშვიდეული ტაშკენტში ნაჭიდავები ხალხით დაკომპლექტდება?**

— ადგილი ჯერ არავის არ აქვს განაღდებული. მსოფლიოს თასის გარდა წინ ორი ბორჯომული შეკრება გველის. შემდეგ მწვრთნელები ყველაფერს ავწონ-დავწონით და ერთად გადავწყვეტთ, ვინ მოხვდება საევროპო შემადგენლობაში

**ოთარ მაღლაკელიძე**



## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები
### მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

# ისევ ესპანეთი თუ გერმანია?

**გუმერსბახი** (გერმანია) **32:34** ***ვალიადოლიდი*** *(ესპანეთი)* **(36:36)**
***კილი*** *(გერმანია)* **39:32 ვესპრემი** (უნგრეთი) **(36:39)**
***სან ანტონიო*** *(ესპანეთი)* **37:29 სიუდად რეალი** (ესპანეთი) **(21:26)**
**ბარსელონა** (ესპანეთი) **34:29** ***ფლენსბურგი*** *(გერმანია)* **(21:31)**

**როგორც** მოსალოდნელი იყო, სახელბურთო ჩემპიონთა ლიგის ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა, ექვსგზის ტრიუმფატორმა „ბარსელონამ“ ვერ შეძლო სტუმრად „ფლენსბურგ-ჰანდევიტთან“ პირველ სამეოთხედფინალო მატჩში ათბურთიანი პასივის გაბათილება და უპრესტიჟულესი საკლუბო პრიზისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

სამაგიეროდ, მეორე ესპანურ-გერმანულ დაპირისპირებაში „ვალიადოლიდმა“ იყოჩაღა. პროვინციულმა ესპანურმა გუნდმა შინ ფრის შემდეგ საპასუხო შეხვედრაში უმწვავესი ჭიდილი მოუგო „გუმერსბახს“. მომხვდურებმა მასპინძელთა წინააღმდეგობა ლამის მთელი თანაბარი თამაშის მიწურულსღა გატეხეს.

ლიგის ამჟამინდელ და წინა გათამაშების გამარჯვებულ ესპანურ გრანდთა შიდაომში წარმატება პამპლონელმა ექსჩემპიონებმა იზეიმეს. „პორტლენდ სან ანტონიომ“ უკვე პირველ ტაიმში თითქმის გაათანაბრა საერთო ვითარება, შესვენების შემდეგ კი სოლიდური, რვაბურთიანი უპირატესობაც მოიპოვა.

„ფლენსბურგი-ჰანდევიტის“ მეზობელ საპორტო „კილსაც“ არ გასჭირვებია ნახევარფინალში გზის გაკვლევა. სტუმრად უნგრეთში სამგოლიანი მარცხის მერე შვიდბურთიანი რევანში საკმარისზე ბევრად მეტიც იყო.

ერთი სიტყვით, მარტის ბოლოს სატიტულო ჭიდილს ორ-ორი ესპანური და გერმანული გუნდები გააგრძელებენ.

გუშინ ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში წილისყრა მოეწყო, რის შედეგადაც გაირკვა, რომ 24 და 31 მარტს ფინალში გასასვლელად ერთმანეთს შეერკინებიან „პორტლენდ სან ანტონიო“ — „კილი“ და „ფლენსბურგი“ — „ვალიადოლიდი“.



AFP

კასპერ ნილსენის „ფლენსბურგი“ ნახევარფინალში გავიდა

**გია ახალაძე**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ესენი არიან ზებრები?!


ზაზა ფაჩულია შაქილ ონილს წინ გადაუდგა

## ატლანტამ ტკივილი მაიამით ვერ დაიამა

**მძიმე დროება** უდგას „ატლანტა ჰოქსს“, აგებს და აგებს და აგერ მიჯრით მეექვსე მარცხით დაუმძიმდა ხურჯინი. მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა შეგირდთა გამოსაფხიზლებლად არაერთი ფანდი გამოიყენა, ხუთეულიც გადაახალისა — ჯერ ზაზა ფაჩულია დააბრუნა დამწყებ გუნდში, შემდეგ კი მსროლელ ჯო ჯონსონს უკანა ხაზში გვერდით ამოუყენა მისი მოგვარე ენტონი ჯონსონი და ბურთის გათამაშება ამ უკანასკნელს დაავალა. ენტონიმ გაამართლა, „მაიამის“ 16 ქულაც ჩაუგდო. აი, ჯოს კი არაფერი გამოუვიდა, მხოლოდ 12-ს დასჯერდა, რაც მისთვის წლევანდელი საშუალო მაჩვენებლის ნახევარიც ვერაა.

რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, მას „მაიამისთან“ თამაში სეზონის გამორჩეულ შეხვედრებში ნამდვილად ვერ ჩავუწერთ — ზაზამ 7 ქულა და 5 მოხსნა გააკეთა, მაგრამ შეტევაში უფერულ თამაშს დაცვაში საიმედო გარჯა შეუხამა და „მაიამის“ ვეება ცენტრი შაკილ ონილი 14 ქულას დააჯერა. თუმც საერთო საქმეს ამითაც არ ეშველა.

„მაიამის“ კვლავაც აკლდა და კიდევ დიდხანს არ ეყოლება დუეინ ვეიდი. ასე რომ, მწვრთნელი პატ რაილი მეტოქეთა დაცვის მოსანგრევად ალტერნატიულ მექანიზმებს ეძებს. ახლა მას კიდევ ერთი ვეტერანი, 35 წლის ედი ჯონსი გამოადგა, რომელმაც ახალგაზრდობა დაიხსენა და სეზონში პირადსარეკორდოდ ბევრი, 21 ქულა მოიხვეჭა. აქედან 14 ქულა ჯონსმა ბოლო მეოთხედში მიაშველა თავისიანებს და „ატლანტას“ 10-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრის საშუალება მოუსპო.

„ყველა თამაშში რომელიმე ჩვენგანი ლიდერის ტვირთს საკუთარ თავზე იღებს, დანარჩენები კი ვეხმარებით. ნუ გეშინიათ, იმდენი ვეტერანი გვყავს, რომ არცთუ ხშირად გვიწევს რიგი და დიდიდ არ ვილლებით“ — თავისებურად ხუმრობდა მოგებით გახარებულ-აროხრობებული შაკილ ონილი, რომელსაც ამ დღეს 35 წელი შეუსრულდა. მართლაც პატ რაილის განკარგულებაში ვეტერანთა მთელი არმიაა — 35-35 წლის ონილსა და ჯონსზე უკვე ვთქვით, ახლა კი 37 წლის ალონზო მურნინგი, 38-ის გერი პეიტონი და 30-ის ანტუან უოლკერი ვახსენოთ. ხუთივე მათგანს სულ ცოტა, 3 ყველა ვარსკვლავის მატჩი მაინც აქვს მოლეული, ჯამში კი 28 (!) მოუგროვდებათ. მოკლედ, ესაა ბებერ ვარსკვლავთა კრებული, რომელიც ახალგაზრდა ლიდერის დუეინ ვეიდის დამტვრევის შემდეგ იძულებული შეიქნა, ამოძრავებულიყო. შედეგად „მაიამიმ“ ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო და მოგება-წაგებათა ბალანსი წლეულს პირველად გაიდადებითა.

ტრავმა მოიშუშა „ჰიუსტონის“ ახმახმა ჩინელმა ცენტრმა იაო მინმა, მაგრამ მისი დაბრუნება არც ისე წარმატებული გამოდგა. ჰიუსტონელები უმისოდ მგონი უკეთაც კი ბურთაობდნენ, 20 მოიგეს და 12 წააგეს. მინის ბებერი შემცვლელი დიკემბე მუტომბოც მეორე კი არა, მესამე ახალგაზრდობასაც კი იხსენებს, მაგრამ დაბრუნდა იაო და აირია მონასტერი. ჩინელმა 16 ქულა და 11 მოხსნა კი გააკეთა, მაგრამ მერე თავიდანვე აღიარა, ასე უხეიროდ კარგა ხანია არ მითამაშია, თავს სკოლის მოსწავლესავით ვგრძნობდი, რომელსაც დიდები ყოველ წუთს ჩაგრავენ და ბურთს ხელიდან ართმევენო.

სამაგიეროდ, კარგი ფეხით დაბრუნდა „გოლდენ სტეიტის“ მრავალტანჯული ლიდერი ბარონ დევისი. მის გუნდს ბოლო ექვსი თამაში წაეგო და დივიზიონის ცხრილის ფსკერზეც დანთქმულიყო, დევისის დაბრუნებამ კი გამარჯვება და პლეი ოფისთვის მებრძოლთა მარაქაში გარევის იმედი დაუბრუნა. ისე, დევისს დიდად არ გამოუჩენია თავი და ნურც ძალიან შევაქებთ — 28 წუთში 15 ქულა და 5 პასი გააკეთა. „გოლდენ სტეიტს“ „დეტროიტთან“ ულიდერა დეტროიტში დაბადებულ-გაზრდილ-განათლებულმა ჯეისონ რიჩარდსონმა, რომელმაც სეზონში სარეკორდოდ ბევრი ქულა მოიხვეჭა და ნამატჩევს დიდადაც კმაყოფილობდა — ექვსი წელია, ნბა-ში ვარ და ძლივს ჩემს მშობლიურ ქალაქში მოგებას ვეღირსეო. ისე, „გოლდენ სტეიტს“ დეტროიტში 6 კი არა, კარგა 13 წელი არ მოეგო და აგერ ნავსი გატეხა. სხვათა შორის, უკვე ზუსტად 13 სეზონია, ეს გუნდი პლეი ოფში არ მოხვედრილა.

**ბოტე ყორშია**

5 მარტი

**მაიამი 88:81 ატლანტა**
მაიამი: უილიამსი (5), ჯონსი (21), კაპონი (7), ჰასლემი (5), ონილი (14); პეიტონი (11), პოუზი (10), უოლკერი (8), მურნინგი (7)
ატლანტა: ე. ჯონსონი (16), ჯ. ჯონსონი (12), მ. უილიამსი (4), სმიტი (16), ფაჩულია (27 წუთი, 7 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა); ჩილდრესი (14), ლუ (7), შ. უილიამსი (4), ბატისტა, რაიტი

**კლივლენდი 91:85 ჰიუსტონი**
კლივლენდი: ჯეიმსი (32 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი), ჰიუზი (22)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (25), მინი (16 ქულა, 11 მოხსნა), ბეტიე (15)

**დეტროიტი 93:111 გოლდენ სტეიტი**
დეტროიტი: ჰანტერი (20), პრინსი (18)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (29), ჰარინგტონი (16), დევისი (15)

**კლიპერსი 74:88 სან ანტონიო**
კლიპერსი: მაგეტი (19), ბრენდი (15)
სან ანტონიო: ჯინობილი (16), უდრიჰი (14)

**ორლანდო 99:81 მილუოკი**
ორლანდო: თურქოღლუ (29), არიზა (20)
მილუოკი: რედი (15), პატერსონი (14)

**იუტა 120:95 შარლოტი**
იუტა: ოქური (32), ჰარპრინგი (19)
შარლოტი: ვოლესი (33)

## კვირის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი

**ალ ჯეფერსონი (ბოსტონი)**



### დასავლეთი

**კევინ მარტინი (საკრამენტო)**



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად ნბა-მ შედარებით ნაკლებად ცნობილი ჯეელები „შეარჩია“. „ბოსტონის“ თავდამსხმელი ალ ჯეფერსონიც და „საკრამენტოს“ მსროლელი კევინ მარტინიც მხოლოდ მესამე სეზონს ატარებენ ასოციაციაში და თანდათან ელიტასაც უშინაურდებიან.

როგორ იქნა, „ბოსტონი“ კრიზისიდან გამოვიდა და ფერზეც მოდის, რაც დიდწილად ჯეფერსონის დამსახურება. გუნდმა წინა კვირაში ოთხივე თამაში მოიგო, რაშიც მის თავდამსხმელს საშუალოდ 23,5-ქულიანი და 14,5-მოხსნიანი წვლილი შეიტანა.

თავის „საკრამენტოს“ ოთხი თამაშიდან სამი მოაგებინა კევინ მარტინმა. მისი საშუალო მონაგარია 28,0 ქულა, 5,0 მოხსნა და 3,5 პასი.

**კვირის სიმბოლური ხუთეული:** ბენ გორდონი (ჩიკაგო), კევინ მარტინი (საკრამენტო), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), ალ ჯეფერსონი (ბოსტონი), შაკილ ონილი (მაიამი)

## არტესტი დააპატიმრეს



ცნობილი ბუნტისთავი რონ არტესტი მორიგ შარში გაეხვა. გუშინწინ ის პოლიციამ საკუთარ სახლში დააპატიმრა და ბრალად ძალადობა წაუყენა.

„საკრამენტო კინგზის“ ლიდერი მავანი ქალის საჩივრის საფუძველზე დააპატიმრეს, რომელმაც 911-ზე დარეკა და განაცხადა, არტესტმა ჩემზე ძალა იხმარაო. როგორც ამ საქმის გამომძიებელი შერიფი ამბობს, ორშაბათ დილით კალათბურთელი დაზარალებულის სახლში იმყოფებოდა — მან ქალი რამდენჯერმე წააქცია, მოგვიანებით კი თავისი „ჰამერით“ იქაურობას გაეცალა, დაზარალებული კი გამოენთო და მანქანას ქოთანი ესროლა.

არტესტი საკრამენტოს გარეუბანში საკუთარ სახლში დააპატიმრეს — კალათბურთელს პოლიციისთვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

## ვეიდი მხარს და ბედს მიენდო



„მაიამი ჰითის“ არქიმექულე დუეინ ვეიდმა სარისკო გადაწყვეტილება მიიღო: იმის მაგივრად, რომ ტრავმირებულ მარცხენა მხარზე ოპერაცია გაეკეთებინა და მომავალი სეზონისთვის ჩამდგარიყო მწყობრში, მან ტრავმის ქირურგების გარეშე მოშუშება გადაწყვიტა. ასე ვეიდი სავარაუდოდ სეზონის ბოლოს მოახერხებს დაბრუნებას და თავის გუნდსაც წააშველებს ხელს, მაგრამ ასე ის ტრავმის გამიზეზების საფრთხის წინაშე დადგება.

„მაიამი“ რომ დღეს მოქმედი ჩემპიონია, ამას უპირველესად სწორედ ვეიდს უნდა უმადლოდეს და თუ უმისოდ დარჩებოდა, ტიტულს სავარაუდოდ, აქედანვე უნდა დამშვიდობებოდა. ვეიდმა კი გუნდის ინტერესები ტრავმაზე მაღლა დააყენა და იმედი აქვს, პლეი ოფისთვის გამოჯანმრთელდება.

## რეგულარული ჩემპიონატი

# ფინელებმა დანები მოიმარჯვეს



ყოჩაღი მეკარე კარი ლეჰტონენი

**გასულმა კვირამ** ნჰლ-ში ფინური ნიშნით ჩაიარა. ყოველ შემთხვევაში, ჰოკეის სპეციალისტებმა ასე მიიჩნიეს, რადგან პირველი ორი ვარსკვლავის სტატუსი სუომის წარმომადგენლებს ერგოთ.

საუკეთესოდ „ატლანტას" ახალგაზრდა კიპერი კარი ლეჰტონენი დაასახელეს. სწორედ მისი დიდებული თამაშის წყალობით მოახერხა ჯორჯიულმა გუნდმა წაგების სერიის შეწყვეტა და სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში ლიდერობის დაბრუნება. გასულ შვიდდღეულში ფინელმა კარის დარაჯმა სამივე შეხვედრაში იმარჯვა, რომელშიც საშუალოდ 1,67 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 94 პროცენტს იგერიებდა.

მეორე ვარსკვლავობა „ფლორიდას" კაპიტანსა და ალბათ ერთადერთ ნათელ წერტილ ოლი იოკინენს ერგო. წინა კვირას სუომელმა ცენტრმა ხუთი შაიბა გაიტანა და ერთხელ საგოლედ უპასა პარტნიორს. ყველაზე მეტად იოკინენისგან „ვაშინგტონი" დაიჩაგრა, რომელთანაც ოლიმ ჰეთ თრიქი შეასრულა. სხვათა შორის, სეზონში უკვე მესამედ.

მესამე ვარსკვლავად კი „კოლორადოს" ახალგაზრდა სლოვაკი კარის დარაჯი პეტრ ბუდაი დაასახელეს. ლეჰტონენის მსგავსად სლავმაც სამიდან სამ შეხვედრაში იმარჯვა, რომლებშიც საშუალოდ 1,97 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 92,6 პროცენტს იგერიებდა.

**ბაჩა ლომაშვილი**

5 მარტი

**რეინჯერსი 2:1 აილენდერსი**

*0:1 0:0 1:0 0:0 (ბულიტები 1:0)*

0:1 ბლეიკი (19), 1:1 პრუხა (41)

# პინგვინები პრერიებში გაისეირნებენ?

## ჰოკეი მაინც ტოვებს პიტსბურგს



მარიო ლემიე

**თავიდან** იწყება თითქოს უკვე მიყუჩებული საგა „პიტსბურგ პინგვინზისთვის" ქალაქის შეცვლის შესახებ. ბოლოდროინდელი მონაცემებით, გუნდი პენსილვანიაში უნდა დარჩენილიყო, მაგრამ „პიტსბურგის" მფლობელ მარიო ლემიეს გუშინდელ განცხადებას თუ ვენდობით, „პინგვინები" მაინც დატოვებენ პიტსბურგს.

არადა, ჯერ კიდევ სამიოდე დღის წინ შტატის გუბერნატორი ედ რენდელი ამბობდა, მოლაპარაკებები თითქმის დამთავრებულიაო, მაგრამ...

„ჩვენ ყველაფერი ვცადეთ, მაგრამ ისინი არანაირ დათმობზე არ წამოვიდნენ. ამის გამო იძულებულნი ვართ, გუნდის სხვა ქალაქში გადასვლის წინადადებები ყურადღებით განვიხილოთ" — განაცხადა ლემიემ.

შეგახსენებთ, რომ გუნდსა და ქალაქის ადმინისტრაციას შორის უთანხმოების მიზეზად „პინგვინებისთვის" ახალი სტადიონის აშენება იქცა — „მელონ არენა" ძალიან მოძველებულა და ნჰლ-ის სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. თავიდან პრობლემად სტადიონისთვის ადგილის გამოყოფა იქცა, ახლა კი სამშენებლო ხარჯებში ქალაქისა და გუნდის წილებზე ვერ თანხმდებიან.

„პინგვინების" ყველაზე სავარაუდო ახალ ადგილსამყოფლად კანზას-სიტის ასახელებენ — ამ ქალაქის ადმინისტრაციამ უკვე შესთავაზა სუპერთანამედროვე „სპრინტ ცენტრში" თამაში, რაც გუნდის ხელმძღვანელობას არაფერი დაუჯდება, ეს კი თავისთავად ძალიან მიმზიდველი წინადადებაა.

საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ რამდენად გაამართლებს კანზასში ჰოკეის გუნდი. აქ ერთხელ, კერძოდ, 1976 წელს, უკვე სცადეს დიდი ჰოკეის გუნდის შექმნა, მაგრამ სპორტის ამ სახეობისადმი ადგილობრივთა უმნიშვნელო ინტერესის გამო მან მხოლოდ ორი წელი გაძლო. ამდენად ძნელი სათქმელია, ახლა რა გამოვა. თუმც პიტსბურგმა იქნებ მაინც მოახერხოს „პინგვინების" შენარჩუნება. ვნახოთ...

**ბაჩა ლომაშვილი**



# რატომაა რუსული ზვავი უფრო საშიში?

**სოჭი** და მისი კრასნაია პოლიანა, სულ უფრო ხშირად ხვდება გაზეთების ფურცლებზე თუ ტელეეკრანებზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სოჭი 2012 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატია და იქ რამდენიმე დღის წინათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისიის წევრებიც იყვნენ. ამიტომაც სოჭს არა მხოლოდ ამ შემფასებელი კომისიის წევრები, არამედ საოლიმპიადო მასპინძლობაში მისი კონკურენტი ქალაქების წარმომადგენლებიც გამადიდებელი შუშით აკვირდებიან, თუმცა რუსების ჭირად იმ შუშის გარეშეც არაერთი პრობლემა, შარი და ხათაბალა ჩანს, მათ შორის სტიქიური უბედურებანიც.

ჯერ იყო და ამ ცოტა ხნის წინათ ქარიშხალმა სოჭში ბევრი რამ მილეწ-მოლეწა, იქაურობა ჩააბნელა და კუნაპეტმა შთანთქა, რამაც თეთრი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს, ისე როგორც მთელ ქალაქს, ახალი თავის ტკივილი გაუჩინა, მერე კი, ამ უქმეებზე, კრასნია პოლიანაზე ზვავმა სამი სიცოცხლე იმსხვერპლა. არადა, სწორედ იმ დღეს პროფესიონალთა შორის ფრირაიდში შეჯიბრება უნდა გამართულიყო. ამიტომაც იქ რუსეთის საუკეთესო სამთომოთხილამურენი და სნოუბორდისტები შეკრებილიყვნენ, მაგრამ მათი პაექრობა უამინდობისა და ზვავის საშიშროების გამო გადაიტანეს. ამ ზომებმა ისინი გადაარჩინა, სხვები კი, ანუ ჩვეულებრივი ტურისტები დაშავდნენ, ხოლო სამი აილუპა, მათ შორის მამა და მისი 10 წლის ვაჟიშვილი, რომლებიც სასრიალოდ ფერდობზე ავიდნენ.

„თეთრი სიკვდილის" გადავლისთანავე 70 მაშველი მიადგა ფერდობს, მაგრამ თოვლის მასა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ გუშინდლამდე ვერც ერთი ცხედარი ვერ უპოვიათ. ვარაუდობენ, რომ მათ გვამებს იქნებ ზაფხულის მოახლოებამდე ვერც მიაგნონ.

ახლა რუსები ამბობენ და კითხულობენ, სადაც თოვლი და მთებია, „თეთრი სიკვდილიც" იქაა, მაგრამ რატომაა, რომ ჩვენთან ზვავებს გაცილებით მეტი ადამიანი ემსხვერპლება, ვიდრე უცხოეთშიო.

**ავთანდილ ტყვიშელი**



# მალე გაგრძნობ...



შაბათს გერმანიაში IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ ვლადიმირ კლიჩკოს ტიტულისა და საჩემპიონო ქამრის დაცვა მოუწევს სავალდებულო პრეტენდენტ რეი ოსტინის წინააღმდეგ. მოკრივეები ბრძოლის წინ პრესის წინაშე ბოლოჯერ წარსდგნენ.

„ორივენი უმაღლესი დონის მოკრივე ვართ, თან გაბარიტებითაც ბევრით არ განვსხვავდებით, რის გამოც უპირატესობა წინასწარ არც ერთს არ გვექნება. ამიტომ ბევრ რამეს ინდივიდუალური მზადყოფნა გადაწყვეტს, რასაც ნამდვილად არ ვუჩივი. აქ გამარჯვებისთვის ჩამოვედი, რადგან მინდა, ქამარი ისევ ამერიკაში დავაბრუნო" — სერიოზულად არის განწყობილი ოსტინი.

კლიჩკო კი წყნარადაა. მას აქამდეც არაერთხელ დამუქრებიან ქამრის წართმევით, მაგრამ უმეტესობა სიტყვიდან საქმეზე ვერ გადასულა. უკრაინელს ბევრი არ ულაპარაკია — „მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ გერმანიაში დაბრუნებით ბედნიერი ვარ. აქ ყოველთვის კარგად გამომდიოდა ჩხუბი და იმედი მაქვს, ამჯერადაც არ გავწბილდები."

რაც კლიჩკომ ბოლომდე არ თქვა ჟურნალისტებს მისმა მწვრთნელმა ემანუელ სტუარდმა გაანდო — „რეი ოსტინს დიდი პატივისცემით ვეპყრობით, ისევე, როგორც ყველა სხვა მეტოქეს. მაგრამ ვიტყვი, რომ ის პირველი წუთებიდანვე იგრძნობს, თუ რა ძალის წინააღმდეგ გარისკა რინგზე გასვლა."

# ზაბ ჯუდას ტრინიდადის სჯერა



ნახევრად საშუალო წონაში ექსჩემპიონმა ზაბ ჯუდამ განაცხადა, რომ მისთვის ფელიქს „ტიტო" ტრინიდადს უთქვამს მიგელ კოტოს ადვილად დაამარცხებო.

ეს ბრძოლა, ანუ ჯუდა-კოტოს ჯახი 9 მაისს გაიმართება და ბევრი მაგარ სანახაობასაც ელის. ჰოდა, მზადების პროცესში მყოფი ჯუდა კოტოს შესახებ ტრინიდადს დაეკითხა და იმანაც დაამშვიდა, შენ უფრო მაგარი ხარო:

„ტიტომ მითხრა, რომ კოტოს მეოთხე რაუნდისთვის დავანოკაუტებ" — ისეთი ბედნიერი სახით ელაპარაკებოდა ჯუდა ჟურნალისტებს, თითქოს მართლად წინასწარ გალახული ჰყავდეს მეტოქე.

„კოტო ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს. აქამდე კი იმიტომ არ დაუსჯიათ, რომ ძირითადად „ჰ" კლასის მოკრივეებთან უწევდა ჩხუბი. ჩემი სახით კი წინ „ა" კლასელი დაუდგება და სეირსაც ანახებს" — ბაქიბუქით ვერ ძღება ჯუდა.

# ლტოლვილები რინგზე



ოდლაინერ სოლისი

კუბიდან გამოქცეული მოკრივეები, სხვათა შორის ოლიმპიური ჩემპიონები — 26 წლის ოდლაინერ სოლისი (მძიმეწონოსანი), 25 წლის იურიორკის გამობოა (მსუბუქი წონა) და 27 წლის იან ბარტელემი (საშუალო წონა) — ამერიკაში ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებენ და პროფესიონალურ რინგზეც გამოვლენ.

ვენესუელაში პან-ამერიკულ თამაშებზე ჩასული და შემდეგ კუბური დელეგაციიდან გაპარული ეს სამი მოკრივე აშშ-ში მშვენივრად მიიღეს და თავისთავად ამით კიდევ ერთხელ დაანახვეს მთელ მსოფლიოს ფიდელ კასტროს რეჟიმის „აუტანლობა".

მოკრივეებს უკვე მისცეს პროფესიონალების ლიცენზია და მალე ისინი რინგზეც გავლენ. ფორმის აღსადგენად კუბელებს რამდენიმე კვირა უთხოვიათ და როგორც მათი ახალი მენეჯერი ტონი გონსალესი ამბობს, უკვე აპრილის ბოლოდან შეეძლებათ ბრძოლების გამართვა.

**ბაჩა ლომაშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. გუშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩელსი (ინგლისი) 2:1 პორტუ (პორტუგალია) (1:1)**

0:1 კვარესმა (15), 1:1 რობენი (48), 2:1 ბალაკი (79)

ჩელსი: პ. ჩეხი, ლ. დიარა (პ. ფერეირა 66), ესიენი, რ. კარვალიუ, ე. კოული, რობენი, მაკელელე (მიკელი 46), ლამპარდი, ბალაკი, დროგბა, შევჩენკო (კალუ 85)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

პორტუ: ელტონი, ფუსილე, პეპე, ბ. ალვეში, მ. ჩეხი (ადრიანუ 56), რიკარდუ კოშტა, პ. ასუნსაო, მეირელეში (იბსონი 56), ლ. გონსალესი, კვარესმა, ლ. ლოპესი (მორაეში 82)

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

გაფრთხილება: რობენი, კვარესმა, დიარა, ფუსილე, ადრიანუ

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

39 041 მაყურებელი

**ლივერპული (ინგლისი) 0:1 ბარსელონა (ესპანეთი) (2:1)**

0:1 გუდიონსენი (75)

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, არბელოა, ჯერარდი, სისოკო, ხაბი ალონსო, რიისე (ფ. აურელიო 77), ბელამი (პენანტი 68), კუიტი (კრაუჩი 90)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ბარსელონა: ვალდესი, ოლეგერი, ტურამი (გუდიონსენი 71), პუიოლი, ხავი, მარკესი, ინიესტა, დეკუ, მესი, რონალდინიო, ეტოო (ჟიული 61)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: არბელოა, სისოკო, ტურამი, პენანტი, რეინა

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

42 579 მაყურებელი

**ლიონი (საფრანგეთი) 0:2 რომა (იტალია) (0:0)**

0:1 ტოტი (22), 0:2 მანსინი (44)

ლიონი: კუპე, რეველიერი (ბენზემა 69), კრისი, სკილაჩი, აბიდალი, ა. დიარა (კალსტრიომი 46), ტიაგუ, ჟუნინიო, მალუდა, გოვუ (ვილტორდი 46), ფრედი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

რომა: დონი, კასეტი, მექსეში, კივუ, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, ტადეი, პეროტა, მანსინი (ფატი 90), ტოტი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: ტიაგუ, კრისი, კალსტრიომი, პეროტა, პიზარო, ფრედი

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

39 260 მაყურებელი

**ვალენსია (ესპანეთი) 0:0 ინტერი (იტალია) (2:2)**

ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, ალბიოლი, მორეტი, ანგულო (ხოაკინი 77), მარჩენა, ბარახა (ვიანა 38), დ. სილვა, ვილია, მორიენტესი (ვისენტე 67)

მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი

ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, მაქსველი (გროსო 75), ხ. ძანეტი, ბურდისო, დაკური (ფიგუ 64), სტანკოვიჩი, კრესპო (კრუზი 58), იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: იბრაჰიმოვიჩი, კანისარესი, ანგულო, მატერაცი, კორდობა, მაიკონი

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

53 000 მაყურებელი

## ინგლისი

**ჩემპიონატი**
**გადადებული მატჩები**

ჰალი 2:5 იფსვიჩი
ნორვიჩი 1:2 დერბი
უენსდი 1:1 პლიმუთი

**პირველი ლიგა**
**გადადებული მატჩები**

ბლეკპული 2:0 ბორნმუთი
ნოტინგემი 0:1 დონკასტერი
პორტ ვეილი 1:1 ჩელტენემი

**მეორე ლიგა**
**გადადებული მატჩები**

აკრინგტონი 1:1 როვერსი
მენსფილდი 2:1 ჩესტერი
შრიუსბერი — რექსემი გადაიდო

**კონფერენსლიგა**
**XXXVI ტური**

ალტრინჩემი 5:0 კემბრიჯი
ძროული 1:0 ბარტონი
დაგენემი 1:1 სტაფორდი
ექსეტერი 2:1 გრეისი
გრეივსენდი 1:3 ვეიმუთი
კიდერმინსტერი 1:0 ჰალიფაქსი
რაშდენი 2:2 მორეკემბი
სოთპორტი 0:1 ოქსფორდი
ტემუორთი 2:0 ალდერშოტი
უოქინგი 0:1 სტივენეიჯი
იორკი 2:1 ნორსვიჩი

## შოტლანდია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ქუინი 1:0 სენტ ჯონსტონი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

კოუდენბითი 1:2 სტირლინგი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ისტ სტირლინგი 0:1 სტენჰაუზმური

## პოლონეთი

**ლიგის თასი**
**VI ტური**

ლკს ლოძი 3:1 პლოცკი
ბელხატოვი 3:0 ლეგია

## ჩეხეთი

**თასის მეოთხედფინალი**

პრჟიბრამი 1:2 სპარტა



მიხაელ ბალაკმა „პორტუს“ ავნო და „ჩელსის“ უშველა



AFP

რონალდინიო და „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობნენ

# ამ გაწევ-გამოწევაში ბარსელონაც გაწიეს

**დიდი** გაწევ-გამოწევა კი არა, შეიძლება ითქვას, ქუჩური ჩხუბი იყო „მეტსალიაზე“.

საგოლე მომენტები „ვალენსია“-„ინტერის“ კარებთან საკმაოდ შეიქმნა, მაგრამ შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, რაც მასპინძლებს აძლევდა ხელს.

მთავარი ამბები კი მატჩის დასრულებისთანავე მოხდა — ინტერელთა არგენტინელი ნიკოლას ბურდისოს და ვალენსიელი კარლოს მარჩენას წაკინკლავება ჯგუფურ ჩხუბში გადაიზარდა.

ფეხბურთელთა რამდენიმეწუთიანი გაქაჩვა-გამოქაჩვა თითქოს დამთავრდა, თუმცა საიდანღაც გამომტყვრალმა დავიდ ნავარომ (ვინც სათადარიგო იყო), ვალენსიელთა მკლავებში მოქცეულ ბურდისოს მიპარვით ჩაარტყა სახეში და ევროპული სააგენტოების ცნობით, ცხვირი გაუტეხა.

ამით აღშფოთებული იტალიელები ნავაროს ლამის მთელ მოედანზე დაედევნენ, თუმცა ხელგრძელმა ვალენსიელმა გასახდელში თავის შეფარება მოასწრო.

როგორც გაირკვა, ჩხუბი და აურზაური გასახდელშიც გაგრძელდა და ვითარება პოლიციის ჩარევის შემდეგღა ჩაცხრა...

ჩემპიონთა ლიგა კი მოქმედი ტრიუმფატორის გარეშე დარჩა — შარშანდელი ჩემპიონი შარშანწინდელმა გააგდო.

„ბარსელონამ“ კი შეძლო და მოიგო „ენფილდზე“, სადაც საოცარი ქომაგობა იციან და ეს ერთხელაც დაამტკიცეს, მაგრამ კატალონიელები ამ მატჩში არც მოგებას და, მით უმეტეს, არც მომდევნო ეტაპზე გასვლას არ იმსახურებდნენ.

„ლივერპულმა“ „ბარსას“ აშკარად აჯობა და, წესით, უნდა მოეგო კიდეც. პირველ ტაიმში მერსისაიდელებმა ორჯერ გაარტყეს ბურთი ხარიხას — ჯერ იონ არნე რისემ, მერე კი მოჰამედ სისოკომ. ხოლო ერთ ეპიზოდში კატალონიელები ზედიზედ სამჯერ სასწაულებრივ გადარჩნენ გოლს.

ინგლისელებს სხვა მრავალი მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ გოლის გატანა არ ეწერათ.

„ბარსელონამ“ პირველი რეალური ხიფათი მხოლოდ მეორე ტაიმის დებიუტში შექმნა, როცა რონალდინიომ მცველი ჩამოიტოვა და ბურთი ძელს გაარტყა. ბრაზილიელი არ ბრწყინავდა, მაგრამ სამუელ ეტოო და ლიონელ მესი მასზე შეუმჩნევლები იყვნენ.

გოლი კი შეცვლაზე შესულმა ეიდურ გუდიონსენმა შეაგდო, ვინაც საკმაოდ გაამწვავა კატალონიელთა თამაში და ბოლო წუთებმა ძალიან დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა, მაგრამ მეოთხედფინალში გავიდა ის, ვინც ამას ალალად იმსახურებდა.

ბევრისგან „ბარსასთან“ ერთად ლიგის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად შერაცხული „ლიონი“, რომელიც ბოლო დროს ჩვეულ ძლიერ ფეხბურთს ვერ აჩვენებდა, ბუჩქებზე „რომამ“ შემოივლო. იტალიელებმა პირველივე ტაიმში მოუთავრეს საქმე ფრანგებს. არადა, „ლიონს“ ევროტურნირებზე შინ 2002 წლის მერე 18 მატჩი არ წაუგია.

„ლომებს“ ცუდად არ დაუწყიათ, მაგრამ... 22-ე წუთზე მაქს ტონეტომ მშვენივრად ითამაშა, კარგადაც ჩააწოდა, „გლადიატორთა“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ კი მძლავრი თავურით გახსნა ანგარიში. ტაიმის მიწურულს ამანტინო მანსინიმ ენტონი რეველიერს ჩაუქროლა და მაღალ კუთხეში ჩასვა ბურთი — 0:2.

გვარიანად ანერვიულა ქომაგები „ჩელსიმ“. ჩვეულად აქტიურმა და ტექნიკურად მოთამაშე რიკარდუ კვარესმამ კოხტა გოლით მე-15 წუთზევე დააწინაურა „პორტუ“, თუმცა ჟოზე მაურინიუს გუნდმა მატჩის შემობრუნება შეძლო. არიენ რობენმა მეორე ტაიმის დებიუტშივე გაათანაბრა, 79-ე წუთზე კი მიხაელ ბალაკმა ლონდონელები სირცხვილს გადაარჩინა...

**გიორგი ქაჯაიაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეჟელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79; საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge